შირაქი

SHIRAKI

www. opentext. ge

გამოდის 1937 წლიდან

№3 (9.568)

2-9 თებერვალი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

დედოფლისწყაროელები "ეტალონში"

"ეტალონის" გამარჯვებული საინფორმაციო გამოშვებების აქტიური მკითხველია

ამჯერად ეტალონში საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობები დედოფლისწყაროს საჯარო სკოლების მოსწავლეებმა წარმოაჩინეს. მოსწავლეთა პედაგოგების, მშობლებისა და მეგობრების გარდა, თამაშს ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილი. ამავე გადაცემაში 1 იანვარს საქართველოში დაბადებული პირველი ბავშვიც მოიყვანეს. პატარა ვახტანგ კიღურაძეს პაატა ზაქარეიშვილის სახელით ერთწლიანი სტიპენდია დაენიშნა. ბავშვი დავით გაგუას სამშობიარო კლინიკაში გაჩნდა. პაატა ზაქარეიშვილმა და დავით გაგუამ ბაშვის დედას ნათია ძაძამიას შვილის დაბადება მიულოცეს და ჭიქა შამპანურით ხელში მას მომავალი დაულოცეს. სტიპენდიებს კი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში გამარჯვებულებისთვის ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი აწესებს.

რაც შეეხება გადაცემის მონაწილეებს, მოსწავლეები პიუპიტრებთან შემდეგი თანმიმდევრობით განლაგდნენ: ირაკლი მენთეშაშვილი(№2 საჯარო სკოლა, IX კლასი, დამრიგებელი ნათია პოპიაშვილი), მარიამ მკერვალიძე (ზემო ქედის №1 საჯარო სკოლა, X კლასი, დამრიგებელი ქეთევან ბუბუნაური), ამირან ბატიაშვილი(არბოშიკის საჯარო სკოლა, IX კლასი, დამრიგებელი დარეჯან ბაღაშვილი), ვალერი ნატროშვილი(ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა, X კლასი,დამრიგებელი თამარ ლეკაშვილი), ნათია ბიკაშვილი(ხორნაბუჯის საჯარო სკოლა, IX კლასი, დამრიგებელი თამარ ფიროსმანაშვილი), ნათია დარჩიაშვილი (ოზაანის საჯარო სკოლა, IX კლასი, დამრიგებელი მაია თევზაძე), გიორგი არაბული (გამარჯვების საჯარო სკოლა, IX კლასი, დამრიგებელი მარინე გიგოლაშვილი), ქეთი ჩაფიაშვილი(№1 საჯარო სკოლა, X კლასი, დამრიგებელი ჯულიეტა პოპიაშვილი), თამთა თინაშვილი (არხილოსკალოს საჯარო სკოლა, X კლასი, დამრიგებელი მაყვალა ბურდული) და თორნიკე ახალაური(ქვემო ქედის საჯარო სკოლა, IX კლასი, დამრიგებელი თამარ ჩარბოდაშვილი).

პირველ ტურში თამთა თინაშვილი ლიდერობდა, მეორეში - მარიამ მკერვალიძე. ფინალში მან საუკეთესო შედეგები აჩვენა და სწორედ მარიამი გახდა გადაცემის გამარჯვებული.

ირაკლი შიოლაშვილი (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი):

- პირველ რიგში, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ გოჩას და გადაცემა „ეტალონს“. ბავშვებისთვის აქ მოხვედრა ძალიან დიდი სტიმულია. ამავდროულად ჩვენ ვხედავთ, რომ იწყება რაიონების პოპულარიზაცია და მეტი ყურადღება ექცევა. ეს ფაქტი დედოფლისწყაროელებისთვის სასიამოვნო მოვლენაა. დედოფლისწყაროელ ბანშვებს დღეს საშუალება მიეცათ, ეთამაშათ ისეთ რეიტინგულ გადაცემაში, როგორიც „ეტალონია“. თქვენ დაინახეთ, ცოდნის როგორი მაღალი დონე გამოავლინეს მათ. მოხარული ვარ, ასე რომ მოხდა და მხიარულ ნოტზე ვტოვებ სტუდიას.

მარიამ მკერვალიძე (გამარჯვებული):

- სკოლაში წარმატებული მოსწავლე ვარ. ცხრა კლასის დამთავრების შემდეგ, ქულების მიხედვით, ერთ-ერთი მოწინავე მოსწავლე ვიყავი და პრეზიდენტის საჩუქარი-კომპიუტერი მივიღე. სამომავლოდ უმაღლესში ჩაბარებას ვაპირებ, თუმცა, ჯერ არ ვიცი, რომელ პროფესიას დავეუფლები.

- როგორია შენი ერთი ჩვეულებრივი დღე?

- დილას ვიღვიძებ, ვიმეორებ გაკვეთილებს და სკოლაში მივდივარ. ვესწრები გაკვეთილებს და სკოლიდან შინ ვბრუნდები. ჯერ ვსადილობ და მერე მეორე დღისთვის გაკვეთილებს ვამზადებ. საღამოს საინფორმაციო გამოშვებებს ვუყურებ და ვკითხულობ ლიტერატურას. ცეკვის წრეზეც დავდივარ, რომელიც ახლახან გაიხსნა ჩვენთან. ვფიქრობ, რომ საინფორმაციო გამოშვებების ყურება აუცილებელია. წიგნიც კარგია, ბევრ რამეს იგებ, მაგრამ ინფორმაციის მოსმენა დღევანდელობასა და დღევანდელ ვითარებაზე აუცილებელია.

- ბოლოს რა წიგნი წაიკითხე?

- „ბინდის საგა“. საერთოდ, მომწონს სათავგადასავლო ლიტერატურა და დეტექტივები.

- ამ ეტაპზე შენთვის ყველაზე დიდი ოცნება რა არის?

- დიდი სურვილი მაქვს, რომ საკუთარი ბიზნესი მქონდეს. ბევრი იდეა მაქვს, რომელიც სხვადასხვა დარგს უკავშირდება და მათი განხორციელების გზებზე ხშირად ვფიქრობ.

- ანუ, გინდა ბიზნესმენი იყო?

- დიახ, რატომაც არა?! (იღიმის).

- დაბოლოს, „ეტალონზეც“ გაგვიზიარე შენი შთაბეჭდილებები...

„ეტალონში“ მოხვედრა სულ მინდოდა. გასულ წლებშიც და ახლაც აქტიურად ვადევნებ თვალს ინტელექტუალურ გადაცემებს. „ეტალონის“ მსვლელობისას ტელევიზორის წინ ვიჯექი, გვერდით ფურცელი და კალამი მედო და გადაცემაში მონაწილე ბავშვებთან ერთად, პასუხებს მეც ვაფიქსირებდი. ბევრი სწორი პასუხი მქონდა, ბევრ რამეს ვიმახსოვრებდი და საერთოდ, ვფიქრობ, რომ ეს ძალიან კარგი გადაცემაა და ადამიანს დიდ ცოდნას აძლევს.

ანა კალანდაძე,
ჟურნალი „რეიტინგი“.

ჩემი მიზანია-კეთილდღეობა ყველა ოჯახს!

გვ. 4-5

მეუფე მელქისედეკი საინგილოში იმეოფებოდა

გვ. 7

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

2013 წლისთვის გაზეთ „შირაქის“ პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ეღირება, 6 თვით - 7,50 ლარი.

„შირაქი“ ერთგულ მკითხველს სიურპრიზს სთავაზობს - ვისაც ოთხი და მეტი წლის განმავლობაში ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება გაზეთთან, წელიწადში ერთხელ 5 ლარის ღირებულების განცხადების უფასოდ გამოქვეყნების საშუალება მიეცემა.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“ – შეიტყვეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

წყლის ხარისხზე ოზაანელების პრეტენზიები უსაფუძვლოა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობაში ყოველკვირეული საორშაბათო თათბირების ტრადიცია აღდგა. გამგებლის ირაკლი შიოლაშვილის განმარტებით, სხდომები ამიერიდან, პრესისთვის ღია იქნება. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ თათბირებზე მედიის დასწრება მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების თაობაზე მოსახლეობის გაცილებით უფრო ოპერატიულად ინფორმირებას უზრუნველყოფს.

მორიგი თათბირი დედოფლისწყაროს გამგეობაში 28 იანვარს გაიმართა. თათბირს სოფლის რწმუნებულები, გამგეობის სხვადასხვა სამსახურის უფროსები და საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. სხდომას საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილიც შეუერთდა.

თავდაპირველად, სხდომაზე დიდი დრო წყალმომარაგების საკითხის განხილვას დაეთმო. „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დედოფლისწყაროს სერვისცენტრის მენეჯერის გია გოგილაშვილის განმარტებით, უსაფუძვლოა სოფელ ოზაანის მოსახლეობის პრეტენზიები ე.წ. გედიქის წყლის დაბინძურებასთან დაკავშირებით.

„მოსახლეობა გედიქიდან მიღებული წყლის ხარისხზე პრეტენზიებს გამოსთქვამს და მიიჩნევს, რომ სხვა წყლებისგან განსხვავებით აქედან მიღებული წყალი შედარებით უხარისხოა. თუმცა, მინდა ვთქვა, რომ ეს არ შეესაბამება სიმართლეს. ამ შემთხვევაში დაბინძურება არ შეინიშნება და თანაბარი პარამეტრები აქვს. ასე რომ, მოსახლეობის შენიშვნებს ვერ გავიზიარებთ, ამის საფუძველი არ არსებობს,“ - აღნიშნა გოგილაშვილმა.

„მინდა გთხოვოთ, რომ ქედების ზონაზე გავამახვილოთ ყურადღება. წყლის საუბნო მრიცხველები ვერ დარჩება. დროულად უნდა მოვახდინოთ მოსახლეობის გამრიცხველიანება, რადგანაც წლის ბოლომდე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები იგეგმება და შემდეგ რომ არ დადგეს განახლებული გზის გათხრის და დაზიანების აუცილებლობა, ეს საკითხი მანამდე უნდა მოგვარდეს,“ - აღნიშნა გამგებელმა.

დედოფლისწყაროს სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მიერ დაისვა საკითხი, სოფელ არხილოსკალოს საბავშვო ბაღის წყლით უზრუნველყოფის თაობაზეც. ითქვა, რომ მათ წყლით მომარაგების პრობლემა აქვთ და დახმარებას ითხოვენ. სახანძრო-სამაშველო სამსახურის ხელმძღვანელმა ზვიად ჯავახიშვილმა სხდომაზე მზადყოფნა გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ნებისმიერ დროს სახანძრო ავტომანქანებით საბავშვო ბაღის წყლით მომარაგება მოხდეს.

გამგებელმა ასევე გააჟღერა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო მიმდინარე წლის ბოლომდე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საწარმოს აშენებას გეგმავს. სამინისტრო დაინტერესდა, დედოფლისწყაროს თვითმმართველობის ორგანოს რა სახის წარმოება მიაჩნია უფრო პრიორიტეტულად და რომელ მათგანს მიანიჭონ უპირატესობა.

„ახლახან მივიღე სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოგზავნილი ოფიციალური წერილი, სადაც სამინისტრო გვთხოვს, ჩვენი აზრი ვაცნობით იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახის საწარმოს აგება მიგვაჩნია პრიორიტეტულად. ბევრი ვიმსჯელეთ, დიდხანს ვიფიქრეთ ამაზე, კომპეტენტურ ადამიანებს აზრი ვკითხეთ და რამდენიმე საკითხი მივწერეთ. სულ 5 დარგი მივწერეთ, რძის, მატყლის, ღვინისა და წვენების, პურის საწარმოებისა და ხორცკომბინატის შექმნის შესახებ. ასე რომ, წლის ბოლომდე სოფლის მეურნეობის სამინისტრო ერთ რომელიმე საწარმოს აჩუქებს დედოფლისწყაროს,“ - განაცხადა ირაკლი შიოლაშვილმა.

სოფელ არხილოსკალოს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა მარინა წიკლაურმა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას მისი სოფლის მოსახლეობის უმრავლესობის თხოვნა გააცნო. მისი განმარტებით, არხილოსკალოელები სოფელში ინკუბატორის მოწყობაში დახმარებას ითხოვენ.

„სოფლის მოსახლეობის დიდი თხოვნაა, რომ საერთო ინკუბატორის მოწყობაში დავეხმაროთ. თითქმის ყველა ოჯახი ისარგებლებს ამ სიკეთით. ისინი წუხან, რომ ამჟამად ყოველწლიურად კაჭრეთში სიარული ინდივიდუალურად უხდებათ, წინილების იქიდან ტრანსპორტირება კი ხარჯებს მეტისმეტად ზრდის. მათი თხოვნა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მისამართით არის ის, რომ იქნებ რომელიმე პროექტის ფარგლებში მოხერხდეს არხილოსკალოში ამ საკითხის მოგვარება,“ - აღნიშნა არხილოსკალოს რწმუნებულმა.

ილია მარტყოფლიშვილი

საპარლამენტო უმრავლესობის წევრები დედოფლისწყაროში

პარტია ,,ქართული ოცნების“რაიონულ ორგანიზაციას ზვიად ჯავახიშვილი უხელმძღვანელებს - გადაწყვეტილება ორგანიზაციის დამფუძნებელი ყრილობის დელეგატებმა ხმათა უმრავლესობით მიიღეს.ყრილობას საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ალექსანდრე თამაზაშვილი,გელა გელაშვილი და ოთარ ჩრდილელი ესწრებოდნენ.ალექსანდრე თამაზაშვილმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა: ***„ძალიან მიხარია თქვენთან ყოფნა, რადგან თქვენ ჩემი თანამებძოლები, ჩემი დები და ძმები ხართ.ერთად ბევრი რამ გადავიტანეთ. ახლა მოგვეცა საშუალება, ღირსეულად მივხედოთ ჩვენს რაიონს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაგეგმილი რეფორმები წარმატებით განხორციელდეს დედოფლისწყაროში. პირადად მე ჩემს მშობლიურ რაიონზე, ჩემს ხალხზე ყოველთვის ვიზრუნებ.“***

სპორტულ კომპლექსში შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ზვიად ჯავახიშვილმა და პარლამენტარმა ოთარ ჩრდილელმაც მიმართეს.

შეხვედრაზე ასევე აირჩიეს დელეგატები, რომლებიც „ქართული ოცნების“ დედოფლისწყაროს ორგანიზაციას პარტიის რესპუბლიკურ ყრილობაზე წარადგენენ.

„კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ შესაძლოა „ახემა ჯგუფს“ დაუბრუნდეს

„კახეთში მართლაც სავალალო მდგომარეობაა. ერთი ქარის ამოვარდნა და რეგიონში ელექტროენერგია ითიშება. გამრიცხველიანების პროცესი უსახსრობის გამო შეჩერებულია. გასარკვევია რა ბედი ეწევა სადისტრიბუციო კომპანიას, რადგან ასე გაგრძელება წარმოუდგენელია“, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, სამინისტრო უახლოეს მომავალში ეცდება დადებითად გადაწყვიტოს მოლაპარაკება „ახემა ჯგუფთან“, რომ კომპანია შემოვიდეს და განახორციელოს ინვესტიცია.

„ვნახეთ რა მდგომარეობაშია გადამცემი ხაზები, ბოძები, რომლებზეც ეს ხაზებია დამაგრებული და არ ვიცი, ხაზებია ბოძებზე დამაგრებული თუ ბოძებია ხაზებზე დამაგრებული. ძალიან ბევრი სამუშაო იქნება ჩასატარებელი“, - აღნიშნა მინისტრმა. მისივე ინფორმაციით, გამრიცხველიანების გარეშე კახეთში ამ დროისთვის 40 000-მდე აბონენტია დარჩენილი.

ლექსო თამაზაშვილის ვიზიტი სტრასბურგში

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი სრული შემადგენლობით ევროპის საბჭოს ინიციატივით სტრასბურგში იმყოფებოდა, მათ შორის იყო დეპუტატი ალექსანდრე თამაზაშვილიც.

როგორც გაზეთ „შირაქს“ ეკა ბესელიამ აცნობა, მათ კომიეტიტს 28-29 იანვარს სტრასბურგში საინფორმაციო სემინარზე, ევროპის საბჭო მასპინძლობდა.

„შეხვედრები გაიმართა ევროპის საბჭოს საპარალამენტო ასამბლეის მონიტორინგის და იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან, ასევე ევროკომისარის ოფისთან-ადამიანის უფლებების დაცვის საკითხზე. საუბარი შეეხო საქართველოში ადმიანის უფლებების დაცვის და კანონის უზენაესობის საკითხს. კომიტეტის წევრები ხშირად როტაციის პრინციპით იცვლებიან და მონაწილეობენ სხვადასხვა შეხვედრებში. ამჟამად ლექსო თამაზაშვილი იყო ჩვენს კომიტეტთან ერთად, ზაზა პაპუაშვილის ნაცვლად. თამაზაშვილი ჩვენს კომიტეტში ხშირად მონაწილეობს,“ — აღნიშნა ბესელიამ.

კომიტეტის თავმჯოდამრემ ეკა ბესელიამ ისაუბრა იმ ვითარებაზე, რაც არის საქართველოში ახალი ხელისუფლების შემდეგ. ასევე კომიტეტში შემოსულ 3000-ზე მეტ საჩივარზე, სადაც მოქალაქეები ითხოვენ სამართალიანობის აღდგენას, ასევე მიაწოდა ინფორმაცია პარლამენტის მიერ პოლიტიკური პატიმრების აღარებისა და ამნისტიის შესახებ კანონის მიღების მნიშვნელობაზე.

საქართველოს ახალი ხელისუფლების მიმართ განწყობა პოზიტიურია, დიდი მოლოდინი და ინტერესია.

დაგეგმილია შემდეგი შეხვედრები ვენეციის კომიტეტის წარმომადგენელებთან როგორც სტრასბურგში ასევე საქართველოში.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ, ეკა ბესელიამ და კომიტეტის წევებმა როგორც უმრავლესობიდან, ასევე უმცირესობიდან შეხვედრები ვენეციის კომისიასთან გამართეს. შეხვედრები იმართება ევროპის საბჭოს მიწვევით, სადაც პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტია მიწვეული.

შეხვედრის დროს კომიტეტის თავმჯდომარემ, ეკა ბესელიამ დეტალურად ისაუბრა პარლამენტის პრიორიტეტებზე, საარჩევნო კანონმდებლობის, სასამართლო რეფორმის დაწყების აუცილებლობაზე, ასევე პოლიტიკური პატიმრებისა და ამნისტიის კანონის მიღების დიდ მნიშვნელობაზე.

– „ამ საკითხზე პოზიტიური განწყობა ძალზედ მნიშვნელოვანია, მით უფრო იმ ფონზე, როცა ევროპის საბჭოს ყოფილ ევროკომისარს, ბატონ ჰამერბერგს ძალიან მწვავე ანგარიშები ჰქონდა მომზადებული საქართველოს წინა ხელისუფლებაზე, სადაც ნახსენები იყო პოლიტიკური მოტივით დაკავებული პირები, ოპოზიციის მხარდამჭერთა გასამართლება და ა.შ. შეხვედრები და ინფორმაციის გაცვლა მნიშვნელოვანია საქართველოში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, რათა ევროპის საბჭო იყოს კარგად ინფორმირებული“, — განაცხადა ბესელიამ.

ევროპის საბჭოში მიმდინარე შეხვედრების ფარგლებში ადმიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წევრები შეხვედნენ ევროსაბჭოს წამების, არაადამიანური მოპყრობისა და დასჯის კომიტეტის სამდივნოს დეპარტამენტის უფროსს ბორის ვოდსს. საუბარი შეეხო საქართველოში მიმდინარე პროცესებს და საკითხებს. ასევე პარლამენტის მიერ მიღებულ ამნისტიის შესახებ კანონს.

ბორის ვოდსის განცხადებით, ის მიესალმება საქართველოს მიერ მიღებულ კანონს ამნისტიის შესახებ. მან ქართველ პარლამენტარებს შესთავაზა კიდევ ახალი ინიციატივა, რომ შეიქმნას და შემუშავდეს ახალი მექანიზმი შეკრებითობის პრინციპის მოხსნის შესახებ. მისი განმარტებით, ევროპა არ მიესალმება და არც არასოდეს მიესალმებოდა სასჯელის შეკრებითობის პრინციპს. მისივე თქმით, ციხეები იყო გადატვირთული და, ამგვარად, ამნისტია იყო უაღრესად მნიშვნელოვანი.

ილია მარტყოფლიშვილი

მამა გაბრიელ ბენიაიძე საავადმყოფოდან გაწერეს

მამა გაბრიელ ბენიაიძე, რომელსაც 16 იანვარს დედოფლისწყაროში მძიმე ჭრილობები მიაყენეს საავადმყოფოდან გაწერეს.

„მამა გაბრიელს ნაკერები 29 იანვარს მოუხსნეს და კლინიკიდან გამოწერეს. ახლა თბილისში, სახლში ვიმყოფებით. ჯერ ზუსტად არ ვიცი, მაგრამ რამდენიმე დღეში დედოფლისწყაროში დავბრუნდებით. დიდი მადლობა ყველას, ვინც გვგულშემატკივრობდა და ჩვენთვის ლოცულობდა. ღმერთმა დაგლოცოთ,“ — აღნიშნა ნიკო ბენიაიძემ.

პაციენტი მკურნალობას თბილისში, შპს „ტრავმატოლოგის” ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში გადიოდა. მას რამდენიმე რთული ოპერაცია გაუკეთდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის სამხარეო მთავარი სამმართველოს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, წარსულში ყაჩაღობისა და მკვლელობისათვის ნასამართლევი, 1964 წელს დაბადებული გიორგი დავითური განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის დაკავეს. ჩხრეკისას, დანაშაულის ჩადენის იარაღი, დანა, ნივთმტკიცებად ამოიღეს.

საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით აღიძრა. გამოძიებას შსს-ს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველო აწარმოებს. დანაშაული 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

ინციდენტი დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედში მოხდა. სოფელ სამრეკლოს სერაფიმე საროველის სახელობის ტაძრის მოძღვარს მამა გაბრიელ ბენიაიძეს სხეულის სხვადასხვა არეში მძიმე დაზიანებები მიაყენეს. მოძღვარი ქუჩაში მოჩხუბარი მამაკაცების გაშველებას ცდილობდა, რა დროსაც მას დანით ჭრილობები მიაყენეს.

ვინ ვართ, საიდან მოვდივართ?!

გამოგვეხმაურეთ!

ვინ ვართ და საიდან მოვდივართ, სად არის ჩვენი ფესვები, ვისი სისხლი ჩქეფს ჩვენს ძარღვებში? - ეს ის კითხვებია, რომელიც აინტერესებს თითოეულ ადამიანს, გვარს, შტოს. ეს კითხვა გამორჩეულად იჩენს თავს მაშინ, როცა ვინმე დიდი კაცი გამოერევა გვარში. ვისიანთიაო, - იკითხავენ ქიზიყში - ეს იმას ნიშნავს, ვისი ფუძის ზედაშეს ეკუთვნის ეს ადამიანო. ამით მისი შესაძლებლობების, ნიჭის და უნარის განსაზღვრასაც კი ვარაუდობენ. ჰოდა, რა გასაკვირია, ქიზიყის ყველაზე დიდი კაცის, დიდი გენიოსი მხატვრის, თვითნაბადი ტალანტის ჩვენი ნიკალას, ნიკო ფიროსმანაშვილის „ვისიანთობით“ რომ დავინტერესებულიყავით. დიდი გვარია ფიროსმანაშვილები: არიან მედროშიაანეები, კოლოლაანები, ბარყალიაანები, ჭოჭიაანები, ხოკიაანები. შეიძლება სხვა შტოც არის, რომელიც არ მახსენდება ან არ ვიცი, მაგრამ ის კი დავაზუსტე, რომ ნიკო ფიროსმანაშვილი ხოკიაანთი ყოფილა. როგორც ხოკიაანთ ვანოს (წყალწყალას) უფროსი ვაჟი შალვა ფიროსმანაშვილი გვიხსნის „ხოკიანი“ ღარიბს, უქონელს, გახოკილს ნიშნავსო და აკი სიღარიბე იყო ნიკალას ცხოვრების თანმდევი. და ვიდრე ხოკიაანთ შტოზე ვისაუბრებთ, თავად ფიროსმანაშვილების წარმომავლობაზე ვთქვათ ორიოდ სავარაუდო სიტყვა. როგორც ქალბატონი ია ფიროსმანაშვილი ბავშვობაში გაგონილს იხსენებს, თურმე ორ ძმას, რომელთა გვარიც უცნობია, ფარსმან I-ის მეფობის დროს (ძვ. წ. 40-25 წ) ბრძოლაში თავი გამოუჩენიათ, მეფე სიკვდილისგან უხსნიათ, მადლიერების ნიშნად მეფეს მათთვის ფარსმანიშვილობა უბოძებია. მერე გვარს დროთა განმავლობაში ასიმილაცია განუცდია და ფიროსმანაშვილად ჩამოყალიბებულა. გასული - მეოცე საუკუნის სამოციან წლებში, როცა ნიკო ფიროსმანაშვილის სახელი აღიარა და მისი ფსევდონიმი „ფიროსმანი“ სახელისა და გვარის გარეშეც ცნობადი გახდა, ზოგიერთმა ამ გვარის წარმომადგენელმა ფიროსმანაშვილის ნაცვლად ფიროსმანიშვილობა არჩია, ალბათ, ფიროსმანთან ნათესაობის ხაზგასასმელად. ზოგადად კი ყველანი ფიროსმანაშვილები არიან და მათი ფუძე სოფელ მირზაანშია.



ერთი შტო, რომელიც ნამდვილად ნიკო ფიროსმანაშვილის ნათესავები არიან, ნიკოს ბიძაშვილის გიგას შთამომავლები გახლავთ. გიგას ოთხი შვილი ჰყოლია: ზაქარა, ბიძინა, მიშა და ანეტა. ზაქარა, რომელიც კოჭლი იყო და სოფელ გამარჯვებაში ცხოვრობდა, კოჭლი ზაქარას სახელით იყო ცნობილი. მას შვილი არ ჰყოლია, თუმცა, ქვრივ ელო ობოლაშვილზე რომ უქორწინია, მას ორი შვილი გოგია და ჟუჟუნა მოუყოლებია. ელოს პირველი ქმარიც ფიროსმანაშვილი ყოფილა - ჭოჭიაანთ დიმიტრი. სულ ახალგაზრდას თოფიდან უკან გამოსროლილი ტყვია მოხვედრია და გარდაცვლილა. მცირეწლოვანი შვილები ელოს ზაქარასთან ერთად ისე შეხმატკბილებულად გაუზრდია, რომ თავად ბავშვებმა და სოფელშიც ბევრმა არ იცოდა, რომ გოგია და ჟუჟუნა კოჭლი ზაქარას შვილები არ იყვნენ. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ მათი ბიოლოგიური მამაც ფიროსმანაშვილი იყო. ელო ხოკიაანებისთვის სასურველი რძალი იყო. ის პატივს სცემდა ზაქარას ნათესაობას. როცა ხოკიაანთ ვანო (წყალწყალა) გარდაცვლილა, ისე დაუტირებია, იმ ღამეს გულის შეტევით გარდაცვლილა.

გიგას მეორე ვაჟი, ანუ ზაქარას ძმა, ბიძინა ჯვაფარიძეში ცხოვრობდა. მას ორი შვილი გენადი და ლეილა ჰყავდა. გენადი რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. დარჩა შვილები, შვილიშვილები. ლეილა კი ქალაქ დედოფლისწყაროში ცხოვრობს. მასაც შვილები და შვილიშვილები ჰყავს. გიგას მესამე ვაჟი მიშა ომში დაკარგულა. გიგას ქალიშვილი ანეტა ილო ტაველურაშვილზე გათხოვილა. უცხოვრია წითელწყაროში. არც მას ჰყოლია შვილი, ისიც კოჭლი ყოფილა. თვითონ გიგას ერთ-ერთი და კეკელა ბასა ფაციაშვილზე ყოფილა გათხოვილი არბოშიკში. ბასას და კეკელას ექვსი შვილი ჰყოლიათ: გიო, იოსება, მარია, ნინა, მანანა და სონა. მანანა ფაციაშვილი გათხოვილი ყოფილა უზუნდარაში (ახლანდელ გამარჯვებაში) სანდრო (ჯიჯგა) ღორაშვილზე. მათ ოთხი ვაჟი - გიორგი, შალვა, ვასილი და თენგიზი ჰყავდათ. სწორედ უფროსი ვაჟის - გიორგის უფროსი ქალიშვილი გახლავართ მე, თქვენი მონა-მორჩილი და ძალიან კარგად მახსოვს, ბებიაჩემი მანანა, რომელასაც ზედმეტსახელად გვართან შეფარდებით „ფაციაურს“ ეძახდნენ, როგორ მიდიოდა ხშირ-ხშირად მოსაკითხით ხელდამშვენებული თავის ბიძაშვილ კოჭლ ზაქარასთან სანახავად. ისინი ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ. ეს გახლავთ ერთი შტო ნიკო ფიროსმანაშვილთან მიმართებაში.

ეჭვიც არ მეპარება, არიან ოჯახები, რომლებსაც მეტი ინფორმაცია აქვთ. ჩვენ ეს გავარკვიეთ, გთხოვთ, თქვენც მოგვწეროთ, რა იცით დიდი მხატვრის ნათესაური კავშირების შესახებ, რათა უფრო მეტი ნათელი მოვფინოთ ფიროსმანის ბიოგრაფიას.

და რადგან შორიდან მოვუარე და ჩემს გვარამდეც მივედი, მინდა გითხრათ ისიც, თუ საიდან წარმოიშვა ეს არაკეთილხმოვანი გვარი „ღორაშვილი“. ჩვენი წინაპრები ფიროსმანაშვილები ყოფილან. ღორაშვილების საგვარეულო ზედაშე გასული საუკუნის 70-იან წლებამდე ნიკო ფიროსმანაშვილის სახლის ეზოში იდგა. მერე, როდესაც სახელმწიფო მუზეუმის მშენებლობა დაიწყო, მუზეუმის მაშინდელმა დირექტორმა ანზორ მაძღარაშვილმა შეგვატყობინა, მშენებლობისას თქვენი ზედაშე შეიძლება დაზიანდესო, ჩვენმა გვარმა ზედაშე ტრადიციული ზეიმითა და გალობით მაღლა სერზე გადააბრძანა, საფარი გაუკეთა და მას დღესაც სალოცავად ხშირად სტუმრობენ, ფიროსმანაშვილობიდან ღორაშვილებად გადაკეთებას კი ასეთი ისტორია აქვს: რუსეთ-საქართველოს გიორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ, როცა ორ ქვეყანას შორის მიმოსვლა გაიოლდა, ერთ ჩვენს წინაპარ ფიროსმანაშვილს, სრულიად ახალგაზრდა და მეოცნებე კაცს, სამხედრო საქმის შესასწავლად და „დიდების“ მოსაპოვებლად რუსეთისთვის მიუშურებია. დიდხანს დარჩენილა იქ, რუსის ქალი შეურთავს ცოლად, შვილებიც ჰყოლია - ორი ვაჟი და ქალიშვილი. ბევრი უშავდღევნია, უცდია, მაგრამ ის „დიდება“, რომელსაც ელიოზივით ეძებდა, ვერ უპოვია. ცოლის გვარზეც კი გადასულა, მაგრამ არაფერი გამოსვლია. მერე ცოლიც მოკვდომია და შვილებით და რუსული გვარით „დამშვენებული“ სოფელ მირზაანში დაბრუნებულა. ძალიან წუხდა თურმე თავის უიღბლობას და თავისი გვარის დაბრუნებას ითხოვდა. გაჯიუტებულა სოფელი, არ უპატიებია გვარის ღალატი. მაშინ, ალავერდობის დღესასწაულზე, რომლის დროსაც მთელი ქიზიყის მოსახლეობა მირზაანში „პატარა ალავერდში“ იყრიდა თავს, დაუჩოქნია და ხალხისთვის უთხოვნია: ოღონდ ქართველად მოვკვდე, ქართულ მიწაში ქართული გვარით ჩავესვენო, ჩემი შვილები ქართველებად დავტოვო და თუნდაც ღორაშვილი ვიყოო. ასე დაედო სასჯელად ჩვენს დიდების მაძიებელ წინაპარს ეს არაკეთილხმოვანი გვარი, რომელმაც, სწორედ ამ არაკეთილხმოვანების გამო, მეოცე საუკუნის 70-80-იანი წლებიდან ისედაც ძალიან პატარა გვარის ორად გახლეჩვა გამოიწვია. რადგან რუსულად ღორაშვილები გორაშვილებად იწერებოდნენ, (მოგეხსენებათ რუსულში არ არსებობს „ღ“) ზოგიერთმა მათგანმა ქართულადაც გორაშვილი აირჩია, მათ შორის მეც, რადგან გვარის არაკეთილხმოვანება ხშირად უხერხულ სიტუაციებში მაგდებდა. და დღეს, ფაქტის წინაშე დამდგარს, გული მწყდება, რომ ხვალ ჩვენი შთამომავლები გორაშვილები, და ღორაშვილები ისე გაიყოფიან, ათეული წლების შემდეგ იქნებ არც კი იცოდნენ, რომ ერთ სისხლ და ერთ ხორც არიან. ასევე მაღელვებს ფიქრი კითხვაზე - ვინ ვარ, საიდან მოვდივარ, ვისი სისხლი ჩქეფს, ჩემს ძარღვებში - ფირსმანაშვილების, ღორაშვილების, გორაშვილების... არ მინდა, ფიროსმანაშვილებმა იფიქრონ - გვეტმასნებიანო, არ მინდა ღორაშვილებმა იფიქრონ - მოღალატეები არიანო... ამიტომ, მინდა, ყველა ღორაშვილმა ეს არაკეთილხმოვანება მოიცილოს და ყველანი ერთად გორაშვილებად დავრჩეთ. ერთი სიტყვით, ასეთია ჩემი გვარის ისტორია და ჩემი ფესვები, ვინც როგორ განსჯის, ისე იფიქროს. ეს ყველაფერი დიდი ხანია ხმამაღლა მინდოდა მეთქვა და თუ თქვენს გვარსაც განუცდია ფერისცვალება, თუ გაქვთ საინტერესო ისტორია ან ლეგენდა თქვენი გვარის შესახებ, არ დაიზაროთ, **გამოგვეხმაურეთ, მოგვწერეთ; ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის ქ.№18. გაზეთ „შირაქის“ რედაქცია.**

ნარა გორაშვილი

მასში ქართული გენი მძლავრობს

ძვირფასო მკითხველო, წინა ნომერში დაგპირდით, რომ ამ პატარა გოგოსა და დიდი მიღწევების სპორტსმენზე აუცილებლად ბოგიყვებოდით. შეგახსენებთ, რომ 14 წლის ანა ქადაგიძე ფესვებით დედოფლისწყაროელია. იგი შოველი ქადაგიძის და ცისანა მჭედლიშვილის შვილიშვილია. დაიბადა რუსეთში, ქალაქ პერმში 1998 წლის 17 ოქტომბერს გია ქადაგიძის და ირინა კარაკულოვას ოჯახში. სიფრიფანა, პატარა გოგონას ფიზიკურ გაძლიერებაზე მშობლებმა იზრუნეს და ის 5 წლის ასაკში უშუ-ს შემსწავლელ კლუბში მიიყვანეს. უშუ გამორჩეული ხელოვნებაა, რომელიც ასწავლის ადამიანს სწორ სუნთქვას, სხეულის ფლობას და მის სწორ მართვას, რაც, თავისთავად, განაპირობებს სწორ აზროვნებას. სამი წელი ეუფლებოდა ამ ხელოვნებას პატარა ანა. მერე ჩოგბურთით დაინტერესდა და 8 წლიდან დაიწყო ვარჯიში.

2010 წელს გია ქადაგიძემ, პერმის მხარის ერთ-ერთი ცნობილი იურიდიული მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელმა, ფილიალი ბათუმშიც გახსნა და ცოლ-შვილი საცხოვრებლად ბათუმში გადმოიყვანა. ანამ ჩოგბურთში ვარჯიში გააგრძელა, მაგრამ მას უფრო ფართო ასპარეზი სჭირდებოდა. ამიტომ ის, დედასთან ერთად, საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. (მამა, როგორც თვითონ აშარჟებენ, ჰაერში ცხოვრობს, რადგან სულ მოძრაობაშია, ხან პერმშია, ხან ბათუმში, ხან თბილისში, მაგრამ თავს ყველაზე კომფორტულად დედოფლისწყაროში, მამისეულ სახლში გრძნობს, ევდოშვილის ქუჩაზე, რომელიც ძალიან უყვარს და მიაჩნია, რომ ასეთი უბანი ქალაქში მეორე არ არის). ანას, როგორც პერსპექტიულ სპორტსმენს, ხელი მოჰკიდეს გამოცდილმა და ცნობილმა მწვრთნელებმა ანატოლი ახალაძემ და გივი გორდაძემ, რომლებიც ჩვენი ლეგენდარული ჩოგბურთელების ალექსანდრე მეტრეველის და თეიმურაზ კაკულიას წარჩინებული მოსწავლეები არიან. ამ ორ წელში ანას სერიოზული წარმატებები აქვს. დაიწყო როგორც რესპუბლიკური ასევე საერთაშორისო შეჯიბრებების მთელი სერია. ამ პერიოდში მან მონაწილეობა 15 საერთაშორისო ტურნირში და საქართველოს ორ ჩემპიონატში მიიღო. 2011 წელს ბათუმის საერთაშორისო ტურნირზე მეორე ადგილი და თასი მოიპოვა. აჭარის ღია პირველობაზე 16 წლამდე ასაკში მესამე ადგილი და მედალი დაიმსახურა. ამავე წელს ალექსანდრე მეტრეველის სახელობის ტურნირში „ტურნირის დედოფლის“ ტიტული მას ერგო. 2012 წელს „ვაკის პარკის“ ტურნირში მესამე ადგილს დასჯერდა, მესამე ადგილის და სიგელის მფლობელი გახდა თბილისის თუხარელის სახელობის თასზე გამართულ ტურნირში. ერთი თვის უკან, დეკემბერში კი ქალაქ თბილისის მერიის ტურნირში 14 წლამდე ასაკის მოზარდთა შორის მან პირველი ადგილი დაიკავა, აიღო მედალი და მერიის თასი. ანა ბავშვთა ტენისის (14-16 წლები) საერთაშორისო ასოციაციის წევრია და მისი რეიტინგი სულ პლიუსზე მუშაობს. მას ტექნიკური დახვეწილობისა და შესაძლებლობების მიხედვით მიენიჭა უფლება, მონაწილეობა მიიღოს 16 წელს ზემოთ ტურნირებშიც. ანას ფიზიკურ მომზადებას ხელმძღვანელობს წარსულში ცნობილი სპორტსმენი ნიკოლოზ არფანოვი, რომელიც 8 წელი საქართველოს სახელით საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი იყო შუბის ტყორცნაში. ასე რომ, ანას სპორტული მომავალი საიმედო ხელშია და იმედი გვაქვს, წარმატებები უფრო მასშტაბური იქნება. თუმცა, ანამ კარგად იცის, რომ წარსულს ჩაბარდა კუნთმაგარი და გონებაჩლუნგი სპორტის დრო, ახლა, XXI საუკუნეში, სპორტსმენს ისევე სჭირდება და მოეთხოვება სწავლა-განათლება, როგორც სხვა ნიბისმიერი სპეციალობის ადამიანს. სწორედ ამიტომ სკოლაში ბეჯითად სწავლობს. ის ამჟამად სოფელ ხონბაუჯის საჯარო სკოლის IX კლასის ექსტერნი მოსწავლეა. მან დეკემბერში წარმატებით დახურა VIII კლასის პროგრამა მთლიანად და IX კლასის პირველი სემესტრიც. 14 წლის გოგონასთვის ეს სერიოზული მიღწევებია როგორც სპორტში, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო თვალსაზრისით.

ზოგადად, ჰუმანიტარული მიდრეკილების ადამიანია. უყვარს ისტორია, ქიმია და ბიოლოგია. პროზას პოეზია ურჩევნია. აკაკი, ილია, ვაჟა, ანა კალანდაძე მისი საყვარელი პოეტები არიან და მათი ბევრი ლექსი იცის ზეპირად. უყვარს მოგზაურობა. გასულ წელს დედასთან ერთად ეგვიპტეში იყო და აღტაცებული დარჩა პირამიდებისა და სფინქსების გრანდიოზულობით. იყო იერუსალიმში და მოილოცა, კაიროში ნაციონალური მუზეუმის ნახვამ მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

ანა არც ხელოვნებასთან არის მწყრალად- ხატავს და ეს დიდ სიამოვნებას ანიჭებს. ცისანა ბებიას პირად არქივში მრავლად არის ანას მიერ გაფორმებული ღია ბარათები, რომლითაც მას ხან ახალ წელს, დედის ან ქალთა დღეს და დაბადების დღეს ულოცავს. 5 წლის ანამ „შექმნა“ საყვარელი ბებიის პორტრეტი და დაბადების დღეზე მიუძღვნა. ასე რომ, ამ ცისფერთვალა ფერია გოგონაში ქართული გენი და ქართული სული მძლავრობს, რაც მამის-გია ქადაგიძის დამსახურებაა, მამისა, რომლის სიტყვაც ანასთვის ძირსდაუშვებელია და მის ეტალონს წარმოადგენს. მას ძლიერ უყვარს მამა-პაპისეულ სახლში – დედოფლისწყაროში ყოფნა. სწორედ აქ შევხვდით საახალწლო არდადეგების დროს ანას, გავეცანით მას და მის სამომავლო გეგმებს.

- როცა შეჯიბრზე გავდივარ, ღმერთს შემწეობას შევთხოვ, მომცეს საშუალება, ვაჩვენო და სრულად გამოვიყენო ჩემი შესაძლებლობები. საერთოდ, მადლობელი ვარ ღმერთის ყველაფრისთვის, რაც ჩემთვის გამოიმეტა,- ამბობს პატარა ანა, რომელსაც წინ დიდი მომავალი აქვს. წარმატებები და წინსვლა ვუსურვოთ მას. ჩვენ ვიქნებით მისი გულშემატკივრები და თვალყურს მივადევნებთ მის ცხოვრებას.

ნარა გორაშვილი

ჩემი მიზანია-კეთილდღეობა

დედოფლისწყარო ყოველთვის მიტოვებული რაიონის შთაბეჭდილებას ტოვებდა. არც კარგი და არც ცუდი გაგებით, დედოფლისწყარო არავის ახსოვდა. ჟურნალისტებიც კი მხოლოდ მაშინ ჩამოდიოდნენ, როცა რაიმე სკანდალური ამბავი ხდებოდა. გვინდა, რომ რაიონს ეს სტატუსიც შევუცვალოთ. დედოფლისწყარო აღარ უნდა იყოს მიტოვებული რაიონი და მისი პოპულარიზაცია მოვახდინოთ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი, უკვე ორი თვეა, რაც რაიონის ხელმძღვანელის პოსტს იკავებს. მან არაერთი ახალი ინიციატივა გააჟღერა და სიტყვა საქმედაც აქცია, თუმცა მიიჩნევს, რომ კვლავ უამრავი პრობლემაა მოსაგვარებელი. ის ახალგაზრდების დედოფლისწყაროში დამაგრების გზების მოძიებაზე აქტიურად ფიქრობს და ამ თვალსაზრისით ახალი ინიციატივებითაც გამოდის.

გაიზარდეს თუ არა ახალმა გამგებელმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ხელფასები, რამდენჯერ აიღეს პრემია საჯარო მოხელეებმა დედოფლისწყაროში და რა ვითარებაა მუნიციპალიტეტში, მართალია თუ არა დედოფლისწყაროში გავრცელებული ხმები, გამგებლის დედოფლისწყაროდან წასვლის თაობაზე, რამდენ ხანს აპირებს ამ პოსტზე დარჩენას, როგორ გეგმავს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას და როდის დათმობს რაიონის ხელმძღვანელის სავარძელს, ამის შესახებ ირაკლი შიოლაშვილი ***გაზეთ „შირაქს“ ესაუბრა:***

- ბოლო დროს თბილისში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში მოღვაწეობდით და თუ გიფიქრიათ, რომ მშობლიურ რაიონს დაუბრუნდებოდით?

- პირველ რიგში მოგესალმებით თქვენ და ყველა დედოფლისწყაროელს. ყველას უნდა საკუთარი რაიონისთვის კარგის კეთება. თავისთავად ცხადია, მეც მქონდა ეს სურვილი და, ოფიციალურად თუ არაოფიციალურად, ყოველთვის ვცდილობდი დედოფლისწყაროს მივხმარებოდი. რადგან ვაკანტური იყო გამგებლის ადგილი, ვცადე ბედი. საკრებულომ ამირჩია, რითიც მომეცა საშუალება, ჩემი კეთილი სურვილები განმეხორციელებინა დედოფლისწყაროში.

- რა სიტუაცია დაგხვდათ და დღეს, უკვე ხელმძღვანელის გადასახედიდან, როგორია დედოფლისწყაროელთა პრობლემები?

- საკმაოდ რთული სოციალური ფონია, ეს კი დიდი პასუხისმგებლობაა. სიმართლეს გეტყვით, როცა აქ მოვდიოდი,გაცილებით უკეთეს მდგომარეობას ველოდი, ვიდრე დამხვდა. ყოველდღიურად, დაახლოებით, 40-50 ადამიანს ვხვდები, ზოგჯერ არის შემთხვევები, 70-მდე მოქალაქეს სურს ჩემთან შეხვედრა. ძირითადად სამი საკითხია,რომელთა მოგვარებასაც ხალხი ჩვენგან ითხოვს: პირველი არის უმუშევრობა და დასაქმების საკითხები, ჯანდაცვის პრობლემა და სოციალური სიდუხჭირე. ადამიანებს ხშირად საჭმლის ფულიც არ აქვთ. ძალიან რთულია თითოეული ადამიანის მოსმენა. ყველა ადამიანის მდგომარეობაში შევდივარ, რითაც შეგვიძლია ვცდილობთ, რომ დავეხმაროთ და გვერდში დავუდგეთ.

თანამშრომლობა მაქვს ცენტრალურ ხელისუფლებასთან და ვიცი, რომ გაზაფხულზე სოფლის მეურნეობის კუთხით გრანდიოზული სამუშაოები იგეგმება. ვაპირებ, კეთილი შუამავალი ვიყო ცენტრალურ ხელისუფლებას, ადგილობრივ ხელისუფლებას და მოქალაქეებს შორის, რათა დედოფლისწყარომ ერთხელ და სამუდამოდ დაამარცხოს უმუშევრობა და სიღატაკე.

ერთი პრობლემა იყო კიდევ: დედოფლისწყარო ყოველთვის მიტოვებული რაიონის შთაბეჭდილებას ტოვებდა. არც კარგი და არც ცუდი გაგებით, დედოფლისწყარო არავის ახსოვდა. ჟურნალისტებიც კი მხოლოდ მაშინ ჩამოდიოდნენ, როცა რაიმე სკანდალური ამბავი ხდებოდა. გვინდა, რომ რაიონს ეს სტატუსიც შევუცვალოთ. დედოფლისწყარო აღარ უნდა იყოს მიტოვებული რაიონი და მისი პოპულარიზაცია მოვახდინოთ. ამის გამოვლინება იყო ისიც, რომ დედოფლისწყაროელმა ბავშვებმა სატელევიზიო პროექტ „ეტალონში“ მიიღეს მონაწილეობა. ასეთი ნაბიჯები აუცილებელია, რადგან მთელმა საქართველომ დადებითი კუთხით გაიცნოს ჩვენი რაიონი და გაიგოს, რეალურად როგორი ხალხი ცხოვრობს დედოფლისწყაროში. ეს გადაცემაც ჩვენი რაიონისთვის კარგი რეკლამაა.

- თუ იყო თვითმმართველობაში ისეთი ფაქტები, რაც თქვენთვის მიუღებელი გახლდათ?

- ბიუჯეტის მიმართულებების განსაზღვრა და თანხების ხარჯვის საკითხი იყო მიუღებელი. ვფიქრობ, რომ ძირითადი თანხები უფრო სოციალური კუთხით უნდა წასულიყო. ადგილობრივი ბიუჯეტი სფეროების მიხედვით სამართლიანად გადანაწილებული უნდა იყოს და, პირველ რიგში, სოციალურ პრობლემებს უნდა აკმაყოფილებდეს. ასევე, დოკუმენტბრუნვის საკითხი იყო მიუღებელი ჩემთვის, გარკვეულ შიდა მიმართულებებს არ ვეთანხმებოდი და მინიმალური საკითხები უკვე შევცვალე- არამიზნობრივად ჩავთვალე საკმაოდ დიდი მოცულობის ხარჯები და ვთქვი, რომ ეს უნდა დასრულდეს და სხვა პრინციპით დავიწყოთ საქმის კეთება. საბედნიეროდ, ამაში საკრებულოც დაგვეთანხმა და მხარი დაგვიჭირა. ხარჯების დაზოგვა უნდა მოხდეს, რომ სიკეთე თითოეულ ოჯახს შეეხოს.

- ზოგადად, ადმინისტრაციულ ხარჯებს უფრო დიდი ნაწილი ეკავა და თვითმმართველობა საკუთარ კომფორტზე ზრუნავდა?

- რაც მივიჩნიეთ, რომ არამიზნობრივი იყო, ის ხარჯები გავაუქმეთ. მე ყურადღებას ვამახვილებ ბიუჯეტის დაგეგმვაზე. მაგალითად, დედოფლისწყაროელებმა იციან, რომ 450 000 ლარი დაიხარჯა სპორტული კომპლექსის მოსაწყობად. წინა ხელისუფლების ადგილას ამხელა თანხას, პირადად მე, ამ დარბაზს არ მოვახმარდი. სოლიდური ფინანსების გამოყოფის მიუხედავად, ამ დარბაზის ჩაბარებას ვერ ვახერხებთ, იმიტომ, რომ ამ თანხით მისი საბოლოოდ დასრულება ვერ ხერხდება და დამატებით საჭიროებს თანხების გამოყოფას. ამ სახსრებით ვერ ხერხდება დარბაზში ბუნებრივი აირის შეყვანა, არ შედის ინვენტარი, არ აქვს ბადეები, რომ ფანჯრები დაცული იყოს. დამატებით 90 000 ლარი კიდევ ინვენტარის შესაძენად არის საჭირო. მიმაჩნია, რომ პრიორიტეტები სხვა საკითხებისთვის უნდა მიენიჭებინათ. ამ დარბაზით, საშუალოდ 50 ოჯახი თუ მიიღებს სიკეთეს, არადა ამხელა თანხით მუნიციპალიტეტს გაცილებით მასშტაბური და საჩქარო პრობლემა შეეძლო მოეგვარებინა, რომელიც უფრო მეტ მოქალაქეზე იქნებოდა გათვლილი. ახლა მივიღეთ, გარედან ლამაზი შენობა, ცარიელი კედლებით და არა სპორტული კომპლექსი.

- 2013 წლის ბიუჯეტი რამდენად სწორად არის გაწერილი და მოსახლეობის ინტერესებზე მაქსიმალურად მორგებული?

- ვფიქრობ, რომ დედოფლისწყაროში დღეს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სოციალური პაკეტი გვაქვს. ამაზე ჩვენ ყოველდღიურად ვფიქრობთ, ვმსჯელობთ და ვმუშაობთ. თითოეულმა ოჯახმა უნდა იგრძნოს კეთილდღეობა და ესაა ჩვენი ყველაზე მთავარი მიზანი.

- წლის ბოლომდე კიდევ რა ოდენობით არის ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა მოსალოდნელი?

- ყველაზე ეფექტური გზა თანხების მობილიზების და ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით, ეს არის ცენტრალური პროექტების მოზიდვა. თავიდანვე ჩემი ნომერ პირველი ამოცანა ეს იყო და ამის პირობა ჩემი არჩევის დროს საკრებულოს სხდომაზეც დავდე, რომ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ვითანამშრომლებ და მაქსიმალურად მოვიზიდავთ მასშტაბურ პროექტებს. როგორც მაცნობეს,

უკვე დამტკიცებულია საგზაო დეპარტამენტის ბიუჯეტი, სადაც დედოფლისწყაროზე 15 მილიონი ლარია გათვალისწინებული. ამით უნდა გაკეთდეს სოფელ ქვემო ქედის და საბათლოსკენ მიმავალი გზა. იცით, რომ ძალიან რთულ ვითარებაშია სოფელ საბათლომდე მისასვლელი გზა, სადაც გადაადგილება ფაქტობრივად შეუძლებელია. წლის ბოლომდე ეს გზა გაკეთდება და იქ გავლა სასიამოვნო იქნება, არათუ სატანჯველი.

ცენტრალური პროექტებით გაცილებით დიდ საქმეებს გავაკეთებთ, ვიდრე აქამდე ხდებოდა. რასაც ადგილობრივი ბიუჯეტი ვერ აგვარებდა, ამ პრობლემებს ცენტრალური პროექტებით შევეჭიდებით.

- საბათლოსთან დამაკავშირებელი გზის მოწესრიგება მართლაც მნიშვნელოვანი საკითხია, თუმცა მისი მოგვარება, დიდი ხანია, ვერ მოხერხდა. საინტერესოა, თავად სამინისტრომ ჩათვალა ეს გზა პრიორიტეტულად, თუ თქვენი ინიციატივით მოხდა მათი ინფორმირება?

- მინდა გითხრათ, რომ ჩვენს რაიონს ჰყავს ძალიან დიდი და კარგი მეგობარი, პარლამენტის წევრის ალექსანდრე თამაზაშვილის სახით. ის შუამავლის როლს ასრულებს ცენტრალურ ხელისუფლებასა და ჩვენს შორის, იმ პრობლემების ოპერატიულად მიტანაში, რაც ჩვენ გვაწუხებს და აქტიურად გვეხმარება მასშტაბური პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში. ვფიქრობ, რომ ისევე, როგორც გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე უნდა იყოს მოწოდების სიმაღლეზე, ასევე მისასალმებელი ფაქტია, რომ დეპუტატი, რომელიც არ გახლავთ ჩვენი მაჟორიტარი და პარტიული სიით გავიდა პარლამენტში, ასე აქტიურად გვიდგას მხარში. ძალიან ზრუნავს იმ რაიონზე, სადაც დაიბადა და გაიზარდა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სწორედ ალექსანდრე თამაზაშვილის დიდი დამსახურებაა ის, რომ საგზაო დეპარტამენტი ამ პროექტის განხორციელებას დაიწყებს. საგზაო დეპარტამენტიდან მაქვს ინფორმაცია, რომ დედოფლისწყაროდან თბილისის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია იგეგმება. გზის ასფალტის საფარი ე.წ. ტრაქტორის ტერიტორიამდე განახლდება და ამ წლის ბოლომდე იგეგმება 31 კილომეტრიანი მაგისტრალის სრული რეაბილიტაცია. ჩემი ინფორმაციით, როგორც კი ამინდები გამოვა, სამუშაოები მაშინვე დაიწყება. ამ 15 მილიონიან დაფინანსებაში შევა ქედების ზონასთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციაც.

- დედოფლისწყაროს კეთილმოწყობის სამსახურის, შპს „სერვისი 2007“-ის სახელს ბოლო დროს არაერთი სკანდალი უკავშირდებოდა. ამავე სამსახურის თანამშრომლებიც ღიად საუბრობდნენ, რომ შტატები გაბერილი იყო და ბევრი ხელფასს ისე იღებდა, სამსახურში არ ცხადდებოდა. დარღვევებს ის ფაქტიც ადასტურებს, რომ სამსახურის ერთ-ერთი ხელმძღვანელი დააკავეს კიდეც. რამდენად რთული ვითარება დახვდა ახალ ხელმძღვანელს ამ სამსახურში?

- ზოგადად ყველა სფერო პრობლემური

ყველა ოჯახს!

დამხვდა, მაგრამ მოდით, ვისაუბრებ იმაზე, რისი გამოსწორება დაგვჭირდა და რა გავაკეთეთ. არ მინდა, წინა ხელმძღვანელებზე ვისაუბრო. უკვე ვმუშაობთ იმაზე, რომ ყველა სფეროში არსებული რთული ვითარება გამოსწორდეს. დასუფთავების სამსახურში დაფინანსება არ გაგვიზრდია, თუმცა იმავე თანხით წელს ხელფასების ზრდა შევძელით. იცით, რომ აქ არიან ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად ჩვენი ქალაქის სისუფთავეზე და განათებაზე, ასევე სკვერების მოვლა-პატრონობაზე ზრუნავენ. ისეც მნიშვნელოვანია, რომ შიდა რესურსებით და თანხის დამატების გარეშე ხელფასები გავზარდეთ.

- რა ნიშნით შეირჩნენ სოფლის რწმუნებულები?

- რწმუნებულები ძალიან მარტივი პრინციპით, მოსახლეობის აზრისა და განწყობის მიხედვით შევარჩიეთ.. ხმაურიც იმან გამოიწვია, რომ ზოგიერთ სოფელში რამდენიმე კანდიდატურა არსებობდა, რომლებიც მოსახლეობაში კარგი ავტორიტეტით სარგებლობენ. გარკვეული შეჯიბრის პრინციპი გამოგვივიდა, ვისაც მეტი მხარდამჭერი აღმოაჩნდა, ისინი დაინიშნენ. ჩვენი გადმოსახედიდან ეს არის ის დემოკრატიული გზა, რომლითაც ხელისუფლებამ უნდა იაროს, მოსახლეობასთან ყოველდღიური მჭიდრო კონტაქტის გზით. ვფიქრობ, რომ სწორად შევძელით ამ მიმართულებით შეგვერჩია კადრები. ვეცადე, ხალხისთვის მაქსიმალურად მომესმინა და რწმუნებულები ისე დამენიშნა.

- რაკი რწმუნებულებზე ვსაუბრობთ, აქვე საორშაბათო თათბირების თემას მინდა შევეხოთ. ბოლო რამდენიმე წელია, დედოფლისწყაროს გამგეობის თათბირებმა ტრადიციული სახე დაკარგა. არ ესწრებოდა მედია, ხშირად არ ჰქონდა ყოველკვირეული სახე. თქვენი წინამორბედი მიიჩნევდა, რომ რწმუნებულებთან ინდივიდუალური მუშაობა გაცილებით ეფექტური იყო, ვიდრე სხდომის ფორმატში. ამ ფონზე ადგილობრივი მედია სოფლებისგან გარკვეულწილად დისტანცირებული აღმოჩნდა, რადგანაც საორშაბათო თათბირებზე ყოველკვირეულად ვიღებდით დეტალურ ინფორმაციას მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში მიმდინარე მოვლენების შესახებ. თქვენ რა ინტენსივობით გექნებათ რწმუნებულებთან შეხვედრები და იქნება თუ არა ის მედიისთვის ღია?

- თათბირები ყოველკვირეულად მაქვს. როდესაც ტელევიზიები მოდიან, ყოველთვის ვეუბნები, რომ არაფერი მაქვს დასამალი. შეგიძლიათ კამერებიც დააყენოთ და ყველაფერი გადასცეთ, რაც ხდება გამგებლის ოთახში. თქვენც იმავეს გიდასტურებთ. ნებისმიერ სხდომას შეგიძლიათ დაესწროთ და ნახოთ, რა პრობლემებს აყენებენ, რა მითითებებს ვაძლევთ.

მაქვს სურვილი, ყოველკვირეულად ვიცოდე, რა ხდება სოფლებში და რით შეგვიძლია დავეხმაროთ მოსახლეობას. შეხვედრები აუცილებელია, რწმუნებულები ერთმანეთსაც უყურებენ და კონკურენციის განცდა მძაფრდება.

ეს პროცესი, ცხადია, ღია იქნება. ჩვენთვის ეს უფრო ეფექტური და მისაღებიც იქნება, რადგან მოსახლეობამდე გაცილებით ოპერატიულად მივა ინფორმაცია, რას ვგეგმავთ, რას ვაპირებთ, რა პრობლემებზე ვმუშაობთ.

- ცნობილია, რომ სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები წელსაც გაგრძელდება. მოგეხსენებათ, ეს პროგრამა პრეზიდენტის ინიციატივა გახლდათ, ამჯერად ის დაფინანსების გამოყოფას აღარ აპირებს. თუ გაქვთ ინფორმაცია, ამჯერად რა სახსრებით განხორციელდება სოფლის პროგრამა?

- ჩემი ინფორმაციით, თანხების გამოყოფა მთავრობის მხრიდან მოხდება და სოფლის პროგრამა ყველა სოფელში ისევ განხორციელდება. პრეზიდენტის ნაცვლად მას ახალი მთავრობა დააფინანსებს. სხვა დეტალები ახლა ზუსტდება.

- ცნობილია, რომ 2007-10 წლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოში ქალაქის მაჟორიტარი იყავით, მას შემდეგ რაიონს გარკვეულწილად მოწყდით. რა სახის შეხება გქონდათ დედოფლისწყაროსთან მაჟორიტარობიდან გამგებლობამდე?

- ყოველკვირეული შეხება მქონდა დედოფლისწყაროსთან. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში ვმუშაობდი, ყოველ შაბათკვირას ჩამოვდიოდი დააქ ვატარებდი მეგობრების, ნათესავებისა და მეზობლების გარემოცვაში. შესაბამისად, თავიდან ბოლომდე ვფლობდი ინფორმაციას, რა ხდებოდა დედოფლისწყაროში და არ ვთვლი, რომ რამენაირად მოწყვეტილი ვიყავი. ასევე, კარგად ვიცი, რა ხდება სოფლის მეურნეობაში და რა უჭირს გლეხს.

- რა დამოკიდებულება გაქვთ მედიასთან, რამდენად ღია იქნებით ჟურნალისტებთან ურთიერთიერთობაში?

- ჩემი დამოკიდებულება ცნობილია, ფაქტობრივად არ არსებობს თემა, რომელიც ჩემთვის დახურულია. ვფიქრობ, რომ ამ კუთხით დედოფლისწყაროში ერთხელ და სამუდამოდ სიტუაცია დალაგდა. გამგეობის პრესასთან ურთიერტობის სპეციალისტად ჟურნალისტი დავნიშნეთ, რომ ადვილად მოახერხოს კოლეგებთან კომუნიკაცია, გაიოლდეს თანამშრომლობა და არ იყოს დახურული საკითხები.

- მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროში მუშაობდით, ალბათ იყო ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები, რომლებიც თქვენში პროტესტს იწვევდა, განსაკუთრებით, ბოლო პერიოდში...

- საბედნიეროდ, ჩემი სამსახური არ მოითხოვდა პოლიტიკურ ქმედებებს. ფინანსთა სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში, სასამართლო დავებზე ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი ვიყავი და სასამართლო პროცესზე სამინისტროს ვიცავდი, ისე როგორც ადვოკატის ფუნქციებში შედის. რაც შეეხება ზოგად პოლიტიკურ ვითარებას, არ მეგულება ადამიანი, რომელსაც პროტესტი არ გასჩენოდა იმაზე, რაც ბოლო დროს ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში, შეუძლებელია, ეს მოგწონებოდა. ახლა კი ხალხმა შიში უკვე დაძლია.

- მხოლოდ საკუთარი გადაწყვეტილება იყო გამგებლის პოსტზე ბედი გეცადათ, თუ ვინმესგან წამოვიდა შემოთავაზება, ან რჩევა თუ ჰკითხეთ ვინმეს?

- ერთადერთი, ვისაც ამგადაწყვეტილების შესახებ შევუთანხმდი და აზრი ვკითხე, ჩემი ოჯახი იყო. სანამ გამგებლის ვაკანსიის დასაკავებლად გამოცხადებულ ადგილზე განაცხადს შევიტანდი, რამდენიმე დღით ადრე ჩემი ოჯახის წევრებს ვკითხე რჩევა, ღირდა თუ არა ამ ნაბიჯის გადადგმა. ჩემი გადაწყვეტილების მიზანი კი ის გახლდათ, რაც შეიძლება მეტი გამეკეთებინა ჩვენი რაიონისთვის და დარწმუნებული ვარ, რომ ყველა დედოფლისწყაროელს ეს სურვილი ამოძრავებს. ამიტომ, მომავალში თუ ვინმე რაიმეს გააპროტესტებს, ან კრიტიკულ აზრს გამოხატავს, სულაც არ აღიქმება, რომ ის ჩვენი მტერია, ისე, როგორც აქამდე ხდებოდა.

- გაიზარდა თუ არა ახალი გამგებლისა და საკრებულოს თავმჯდომარის სახელფასო ანაზღაურება?

- პირდაპირ გეტყვით, ხელფასი არ გაგვიზრდია, იგივე დავტოვეთ და არც ვაპირებთ გაზრდას. აქ ორი მომენტია. ერთი, როცა ადამიანი მხოლოდ ხელფასისთვის მუშაობს და მეორე, როცა ადამიანისთვის ხელფასს გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს და წინა პლანზე დაგეგმილი სამუშაოები დგას. პირიქით, გეტყვით, რომ გარკვეული ხარჯები შევიმცირე კიდეც. ვფიქრობ, რომ ამხელა ხარჯები, რაც წინა ხელისუფლებას ჰქონდა, არ მჭირდებოდა და თანხა უნდა დაგვეზოგა.

- რამდენჯერ გაიცემოდა პრემია დედოფლისწყაროში და თქვენი მოსვლის შემდეგ რა შეცვალეთ?

- აქამდე გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლები წელიწადში ოთხჯერ იღებდნენ პრემიას. ანუ, ყოველკვარტალური სახე ჰქონდა და ერთი თვის ხელფასის ოდენობით გაიცემოდა. ეს მენტალურად მოდის დედოფლისწყაროში. მიმაჩნია, რომ ასე არ უნდა ყოფილიყო და ამიტომ, წელს ოთხის ნაცვლად ორჯერ გაიცემა. ვფიქრობ, ეს სისტემა ცოტა სხვაგვარად უნდამუშაობდეს, ისე, როგორც სხვა უწყებებშია. გამორჩეულად აქტიურ თანამშრომლებზე განსხვავებულად უნდა მოქმედებდეს, რომ წახალისების ფორმა ჰქონდეს. საკრებულომ ახალი ბიუჯეტი ხელახლა დაგვიმტკიცა, სადაც წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ არის პრემიის გაცემა გათვალისწინებული.

- გარდა ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და ზოგადი სოციალური პრობლემებისა, როგორ წარმოგიდგენიათ რაიონის განვითარება ისე, რომ ახალგაზრდებისთვის აქ ცხოვრება გაცილებით საინტერესო გახდეს?

- ჩემი აზრით, აუცილებელია საერთო ღონისძიებების აქტიურად გამართვა. ასევე გვაქვს კინოთეატრის იდეა. ვფიქრობთ, რომ კულტურის სახლმა გარკვეულწილად კინოთეატრის ფუნქციაც შეითავსოს. ეს ჯერ იდეის დონეზეა, მაგრამ ალბათ აპარატურის შეძენა მოხდება. ამაზე უკვე ვმუშაობთ. მთავარი ისაა, რომ დედოფლისწყაროში ახალგაზრდებისთვის თავშეყრის ადგილი არ არსებობს. ასევე აუცილებელი და ძალიან მნიშვნელოვანია თეატრის მუშაობის საკითხი. პირადად მე, რამდენიმე ფილმის ნახვას, მირჩევნია ერთ სპექტაკლს დავესწრო.

- ჯერ კიდევ ომისა და უშუქობის პერიოდში ფუნქციონირებდა დედოფლისწყაროში თოჯინების თეატრი, ადგილობრივი ტელევიზია და მაშინ, როცა ცხოვრება დალაგდა, ეს ყველაფერი კვლავ მოუგვარებელია...

- სპექტაკლები აუცილებლად უნდა იმართებოდეს, იმიტომ რომ ამ დროს ადამიანი სულ სხვაგვარად ვითარდება. ახალგაზრდების მოთხოვნა აბსოლუტურად სამართლიანია. ჩვენ არ გვაქვს გასართობი ცენტრები, დისკოთეკები, ბარები.

ახალგაზრდობას კი თავშეყრის ადგილები სჭირდება. ჩვენი თხოვნაც არის და ახალგაზრდობას მოვუწოდებ, რომ გარკვეული ინიციატივებით მომართონ გამგეობას და ვეცდებით, მათი აზრი გავითვალისწინოთ. ვფიქრობ, რომ მათი მხრიდან წამოსული ინიციატივები უფრო საინტერესო იქნება, ვიდრე მხოლოდ ჩვენს მიერ შერჩეული.

ჩვენი ეს გეგმები წლის ბოლომდე გარკვეულ ფორმას აუცილებლად მიიღებს.

- თქვენი გამგებლად არჩევისთანავე არ წყდება საუბრები იმასთან დაკავშირებით, რომ რაიონის დატოვებას აპირებთ. რაიმე სხვა გეგმებიც გაქვთ, თუ რას უკავშირდება ეს ხმები?

- სიმართლე გითხრათ, ასეთი ხმები ჩემამდეც მოდის და რამდენიმე მოქალაქემ მკითხა კიდეც, როდის ვაპირებდი წასვლას. მინდა ცალსახად და პირდაპირ ვთქვა, რომ ამ ეტაპზე წასვლა ჩემს გეგმებში არ შედის. აქ ვრჩები იქამდე, სანამ არ ჩავთვლი, რომ ჩემი რესურსი გარკვეულწილად ამოვწურე. ზოგადად, მიმაჩნია, რომ ყველა ადამიანი თანამდებობაზე გარკვეული პერიოდით უნდა მოდიოდეს, რადგან ახალი თვალი პრობლემებს ახლებურად უყურებს და ახალი ხედვა საქმეს დადებითად წაადგება-ხოლმე. არავისთვის კატასტროფა არ უნდა იყოს სამსახურიდან წასვლა და თანამდებობის სხვისთვის დათმობა. პირველ რიგში, ეს ყველა სამსახურისთვის სასარგებლო იქნება. არ შეიძლება ერთი და იგივე სამსახურს 5 ან 10 წელი მართავდე. მე მზად ვარ, გარკვეული პერიოდის შემდეგ ღიად ვთქვა, რომ რესურსი ამოვწურე. ამ პრინციპით ვმოქმედებ და ამიტომაც არის, რომ არცერთ სამსახურში ორ წელზე მეტ ხანს არ გავჩერებულვარ, თუმცა არა იმიტომ, რომ თავს ცუდად ვგრძნობდი. აუცილებლად ვიტყვი, რომ უნდა ავდგე და წავიდე. ეს არ იქნება 5 ან 10 წელი, თუმცა არც ისე მოკლე ხანში წავალ, როგორც ამას მეკითხებიან.

- რაკი დეპუტატს შევეხეთ, მეორე დეპუტატზეც მინდა ვიკითხო. რამდენიმე თვე გავიდა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, თქვენ, როგორც გამგებელმა, იცით თუ არა, რა საქმიანობითაა დაკავებული დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ზაზა კედელაშვილი, რამდენად თანამშრომლობს ის ადგილობრივ ხელისუფლებასთან?

- სამწუხაროდ, მინდა ვთქვა, რომ ზაზა კედელაშვილი არ მინახავს. გამგებლად არჩევის შემდეგ მას არც წარმატებები უსურვებია ჩემთვის და, ელემენტარულად, არც მოულოცავს. შესაბამისად, არც მე ჩავთვალე საჭიროდ რომ შევხმიანებოდი. როდესაც ადამიანი არ არის დაინტერესებული თანამშრომლობით, მეც თავი შევიკავე. თუმცა, მიმაჩნია, რომ როდესაც ადამიანებმა ასე თუ ისე, ნდობა გამოუცხადეს და დედოფლისწყაროს სახელით ზის პარლამენტში, მის ადგილას თავს ვალდებულად ჩავთვლიდი მოსახლეობასთან კონტაქტი მქონოდა და დედოფლისწყაროში ხშირად ჩამოვსულიყავი. არ ვიცი, იქნებ ჩვენს გარეშე ვინმეს ხვდება-ხოლმე, მაგრამ მე არც ასეთი რამ მსმენია, რომ მოსახლეობას ხვდებოდეს. ჯობია, ამ კითხვით თავად დეპუტატს მიმართოთ.

- ბოლო პერიოდში თქვენ არაერთი ინიციატივა გააჟღერეთ, რომელსაც მოსახლეობაშიდადებითი რეზონანსი მოჰყვა...

-ახლახანს, ჩემი ინიციატივით საკრებულომ დაამტკიცა ახალგაზრდების სტაჟირების წესი, რომელიც ყველა მსურველს საშუალებას მისცემს, უფასოდ გაიაროს სტაჟირება საჯარო სამსახურში და შესაბამის ორგანოებში მუშაობის გამოცდილება მიიღოს. მეორე ინიციატივა კი საბავშვო ბაღებში გადასახადის გაუქმებას შეეხება. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გადასახადს ამიერიდან მშობლების ნაცვლად დედოფლისწყაროს ადგილობრივი ბიუჯეტი გადაიხდის. თუმცა, ეს მხოლოდ დასაწყისია. ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, რომ დედოფლისწყაროში ცხოვრება გაცილებით საინტერესო და პრობლემებით ნაკლებად დატვირთული გახდეს.

ესაუბრა

ილია მარტყოფლიშვილი

ჩატარდა მორიგი სამუშაო შეხვედრა მხარეებს შორის

24 იანვარს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში განხორციელებადი პროექტის- „ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებული მართვა საქართველოს წყალშემკრებ აუზებში“ - ფარგლებში, ჩატარდა მორიგი სამუშაო შეხვედრა პროექტის ხელმძღვანელ პირებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შორის.

შეგახსენებთ, რომ „გლობალური წყლები მდგრადობისათვის“ (GLOWS) არის კონსორციუმი, რომელსაც ხელმძღვანელობს ფლორიდის საერთაშორისო უნივერსიტეტი. ის USAID -ის დაფინანსებით ახორციელებს პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური კეთილდღეობის გაუმჯობესებას წყალმომარაგების და საკანალიზაციო მომსახურების უზრუნველყოფის , ზღვის ეკოსისტემების გაჯანსაღებისა და წყლის რესურსების მდგრადი მართვის გზით.

ამ პროგრამით , ზემოთ აღნიშნული პროექტის ფარგლებში, სამიზნე მუნიციპალიტეტებში დაწყებულია დეტალური კვლევების ჩატარება სასმელი წყლის სისტემებზე, ენერგეტიკულ რესურსებზე,ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე, კლიმატის ცვლილებებზე ბუნებრივი რისკების და მათ მიმართ მოწყვლადობაზე . დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისთვის, პროგრამის ფარგლებში,დაგეგმილია მცირე გრანტების გაცემა 10 თემზე.

წინა სამუშაო შეხვედრების დროს გამოვლინდა პრიორიტეტები, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს საპილოტე პროექტების შერჩევა. სწორედ ამ მიზნით ჩატარდა შეხვედრა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობაში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილი, გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი და სხვა ხელმძღვანელი პირები.

პროგრამის დირექტორმა მარიამ შოთაძემ და მისმა მოადგილემ ელისო ბარნოვმა მოკლედ ისაუბრეს პროექტის მიზნებზე,მის მიმდინარეობაზე, საპილოტე პროექტების პრიორიტეტებზე ისაუბრა პროექტის მენეჯერმა მალხაზ ადეიშვილმა; თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს ლევან ნატროშვილმა და ირაკლი შიოლაშვილმაც. მოხდა პოზიციათა შეჯერება. შეხვედრის დასრულების შემდეგ მხარეები საპილოტე ტერიტორიების მოსანახულებლად გავიდნენ და ადგილზე დაათვალიერეს პრობლემური ობიექტები.

საპილოტე ტერიტორიების მონახულება მეორე დღესაც გაგრძელდა. სამუშაო ჯგუფი ექსპერტთა შემადგენლობით, მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსთან სოლომონ ღორაშვილთან ერთად, შირაქის დასახლების , სოფელ ზემო ქედის, არხილოსკალოს, ქვემო ქედის, სამთაწყაროს და ფიროსმანის ტერიტორიული ორგანის რწმუნებულებს და სპეციალისტებს შეხვდა.

ამ ვიზიტის შედეგად, კიდევ ერთხელ მოხდა პრიორიტეტული პრობლემების განხილვა და პოზიციათა შეჯერება.

ანა ბენაშვილი,
მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში

ადამიანი და მგელი - თანაარსებობა საზიარო გარემოში

კონფლიქტი ადამიანსა და ველურ ბუნებას შორის უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს. მას შემდეგ, რაც ადამიანმა ცხოველები მოიშინაურა და მინათმოქმედებას მიჰყო ხელი, თავი იჩინა პირუტყვისა და კულტურული მცენარეების ველური ბუნებისგან დაცვის საჭიროებამ. თავიდან ბუნებას საკმარისი რესურსი ჰქონდა, რომ გარეული ცხოველები გამოეკვება; თუმცა, ადამიანის მიერ ახალი ტერიტორიების ათვისებასთან ერთად, ეს რესურსი თანდათან მცირდებოდა, შესაბამისად მცირდებოდა გარეული ცხოველების საბინადრო გარემო და საკვები ბაზაც, ამიტომ მათ საკუთარი თავის და შთამომავლობის გადასარჩენად სულ უფრო ხშირად უწევდათ საკვების მოპოვება ადამიანთა კუთვნილი გარემოდან.

მსოფლიოს სხვა მრავალი ქვეყნის მსგავსად, ხსენებული კონფლიქტის პრობლემა საქართველოშიც დგას. ამ კონფლიქტის ერთ-ერთ კერას კი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები და მისი შემოგარენი წარმოადგენს, სადაც კონფლიქტი ძირითადად მგლებსა და პირუტყვის მეპატრონეებს შორის ხდება; ამ უკანასკნელთა ნაწილს, ხსენებული პრობლემის მოგვარების ერთადერთ გზად მგლების „მოსპობა“ მიაჩნია, თუმცა სწორედ ასეთმა მიდგომამ გაამწვავა ეს კონფლიქტი - როდესაც უკონტროლო ნადირობით ჩვენივე ხელით შევამცირეთ მრავალი სახეობა (ქურციკი, შველი, ირემი, გარეული ღორი, კურდღელი და სხვა), მტაცებლებიც იძულებულნი გახდნენ, რომ საკვები რაციონი შინაური ცხოველებით შეევსოთ; თორემ, არც ერთი მგლისთვის არ არის კომფორტული ადამიანთან, ან თუნდაც ნაგაზებთან კონფლიქტი და სხვა გამოსავლის არსებობის შემთხვევაში ისინი აუცილებლად აარიდებდნენ თავს საფრთხეს, რადგან ამ დროს მიღებული მცირედი ტრავმაც კი, მათთვის შეიძლება სასიკვდილო აღმოჩნდეს.

უდავოა, რომ ისეთი საკვანძო სახეობის ბუნებიდან ამოღება, როგორიც მგელია, სრულიად დაარღვევს ეკოლოგიურ წონასწორობას, რამაც შესაძლოა ბევრად უფრო უარყოფით შედეგებამდე მიგვიყვანოს. არანაკლებ მნიშვნელოვანია კონფლიქტის მეორე მხარის - პირუტყვის მეპატრონეების მდგომარეობა, რომლებიც მგლის თავდასხმების გამო ზოგჯერ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს განიცდიან. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით აშკარა ხდება კონფლიქტის იმ დონემდე შემცირება, რომ შესაძლებელი გახდეს პირუტყვის მეპატრონეებისა და მგლების თანაარსებობა საზიარო გარემოში.

სწორედ ამ კონფლიქტის შემცირებაა „საქართველოს მტაცებლების კონსერვაციის პროექტის“ ერთ-ერთი ამოცანა. პროექტს ერთობლივად ახორციელებენ სახეობათა კონსერვაციის ცენტრი „ნაკრესი“ და ბრიტანული საერთაშორისო ორგანიზაცია „ფლორა და ფაუნა“ .პროექტის ფარგლებში, 2010 წელს ჩატარებულ იქნა კონფლიქტის საფუძვლების კვლევა. კვლევის შედეგების, საერთაშორისო გამოცდილებისა და ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინებით, გამოიკვეთა კონფლიქტის შემცირების შემდეგი გზები: კონფლიქტის მუდმივი მონიტორინგი; თემთან კომუნიკაცია და ინფორმაციის გავრცელება; პირუტყვის ვეტერინარული მდგომარეობის გაუმჯობესება; პირუტყვის მცველი ძაღლების ხარისხის გაუმჯობესება; პირუტყვის დამცავი საშუალებების გაუმჯობესება; ამავე პროექტის ფარგლებში, 2010 „ნაკრესის“ ბაზაზე შეიქმნა „ადამიანისა და მტაცებლის კონფლიქტზე რეაგირების ჯგუფი“, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს კონფლიქტის შემცირება ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების განხორციელების გზით.

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
თემურ პოპიაშვილი, ამკ რეაგირების ჯგუფის ხელმძღვანელი - ტელ: 555 54 04 74;
ნატო ყატაშვილი, თემთან კომუნიკაციის ოფიცერი - ტელ: 555 22 42 88.

მსოფლიო იუველირთა დღე

სამკაულები ხომ ჩვენი, ქალების სისუსტეა! მოკლედ, რამდენიმე დღის წინ, 31 იანვარი მსოფლიო იუვილერთა დღე გახლდათ. შესაძლოა, ეს დღე არც ისეთი დიდი დღესასწაულია და არც მნიშვნელოვნად შესამჩნევი თარიღი, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ საუკუნეში სუსტი სქესის წამომადგენლები და ახლა უკვე არა მხოლოდ ისინი, არ ვართ გულგრილნი სამკაულების მიმართ, ვფიქრობთ, რომ არანაკლებ ყურადსაღები თემაა. იყო პერიოდი, როდესაც ქალბატონები ოქროს სამკაულებით იმკობოდნენ და სხვა სამკაული ან ბიჟუტერია მიღებული გახლდათ მათთვის, დღეს საქმე სხვაგვარადაა, იმის გამო, რომ ოქროს ფასი გაძვირდა და ხშირად მის ყიდვას ვერც ვწვდებით, ბიჟუტერიას ვჯერდებით. საიუვილერიო მაღაზიები გადაჭედილია ნაირ-ნაირი ბიჟუტერიით, რას არ ნახავთ აქ: საყურეები, სამაჯურები, საათები, ბეჭდები, იშვიათი დიზაინის ყელსაბამები, ბროშები და კიდევ ვინ იცის, რამდენი რამ. თუ ათეულობით წლის წინ ამ ყველაფრის შოვნა ძნელი იყო, ახლა ყოველ ნაბიჯზე სამკაულებს ვხედავთ და თვალიც გვიჭრელდება. მასში გამოსარჩევია ნაკეთობის ხარისხი, რომელიც პირდაპირ ასოცირდება სამკაულის ფასზე. მაინც რა სიტუაციაა ამ მხრივ ჩვენს რაიონში? როგორც გამყიდველები ამბობენ, ბიჟუტერიის კუთხე მანდილოსნების საყვარელი ადგილია და ფასიც, მოგეხსენებათ, ბიჟუტერიაზე ბევრად დაბალია, ამიტომ ლამაზი სამკაულის ყიდვას ბევრი ქალბატონი ახერხებს. არსებობენ ქალბატონები, რომლებიც ვერცხლისა და სხვადასხვა ცნობილი და ძვირადღირებული ბრენდის საიუველირო ნაკეთობების მომხმარებლები არიან და მიაჩნიათ, რომ მოდური და თანამედროვე დიზაინის ნაკეთობები ოქროს სამკაულს არაფრით ჩამოუვარდება.

თანამედროვეობამ კარგად დაგვანახა, რომ ოქრო და ბრილიანტი შედარებით იაფფასიანმა პროდუქციამ ჩაანაცვლა, თუმცა ოქროს სამკაული კვლავ რჩება სამკაულთა შორის მეფედ. ოქროს მაინც სხვა ხიბლი და ღირებულება აქვს, რომელიც ქალის ბრწყინვალებასთან ერთად, მის სოციალურ მდგომარეობასაც უსვამს ხაზს. თუმცა, არის კატეგორია, რომლებიც ადამიანში არა სამკაულს, არამედ სხვა ღირებულებებს უფრო აფასებს და პირველების ყველაზე დიდ სამკაულადაც სწორედ ეს მიაჩნიათ.

რამდენად მოთხოვნადი პროფესიაა დღეს ოქრომჭედელობა და რამდენად ხშირად აკიტხავენ ოქრომჭედელს დღეს ქალბატონები, ამის გასარკვევად ოქრომჭედელ სერგო ელოიანს მივმართეთ:

- ერთი დღის წინ მსოფლიო იუველერთა დღე იყო. გილოცავთ ამ დღეს, თუ იცით თქვენ ამის შესახებ ან თუ მოგისმენიათ სადმე?

- არა, არ ვიცოდი, გმადლობთ მოლოცვისთვის.

- როგორია თქვენი ყოველდღიური სამუშაო პროცესი, რამდენად მოთხოვნადი პროფესიაა თქვენი ხელობა დღეს და საერთოდ მოგვიყევით მთელი ისტორია, როგორ დაიწყეთ თავიდან და რამ განაპირობა თქვენი პროფესიის არჩევანი?!

- მოგეხსენებათ, მამა და ბიძა ცნობილი ოქრომჭედლები იყვნენ რაიონში, მუდმივად ამ იარაღების და სახელოსნოს ირგვლივ ვტრიალებდი,მეც დავინტერესდი. როცა მამას თვალი დაუზიანდა და ოპერაცია გაიკეთა,(იგი ახლა ერთი თვალით საერთოდ ვეღარ ხედავს და პირველი ჯგუფის ინვალიდია, მოგეხსენებათ ოქრომჭედლობა თვალის პირველი მტერია, დაძაბული ყურება, პატარა, ნვრილი წერტილების გათვლა და ასეთ მცირე, ნაზ მასასთან ურთიერთობა თვალს ძალიან ანადგურებს), მერე შევისწავლე კიდეც. ასე მოუხდა მამასაც, ბატონ გრიგორს, მას მერე ხელი მე მოვკიდე ამ საქმეს. თავდაპირველად გაცხოველებული მუშაობა მქონდა, ერთი წუთი არ მეცალა. მერე და მერე გაჭირდა, ხალხს ლუკმა-პური დაეანატრა და ჩემი მუშაობაც შეფერხდა, ალბათ, ეს ერთის მხრივ კარგიცაა ჩემთვის, რადგან დაძაბულ მუშაობაში მეც უკვე თვალების დაზიანების საფრთხეს ვხედავდი. ახლა მიკრობიზნესის სტატუსი მაქვს და მეკრძალება ყიდვა-გაყიდვა. მხოლოდ სამკაულის შეკეთება-დამზადების უფლება მაქვს. დღეში ნახევარი საათის სამუშაო თუ მექნება, ეგ არის და ეგ, მოსახლეობას უჭირს, რაიმეს გაკეთება რომ უნდათ, ხუთ ლარს რომ ვუფასებ, არა აქვთ და იხვეწებიან,რომ სამ ლარში გავუკეთო, აი ასეთი სურათია ზოგადად, გამომდინარე აქედან, ჩემი მუშაობაც ბევრად მოკრძალებულია.

- ანუ თქვენი ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ ამ ხელობას მომავალი არ აქვს, რამდენადაც ვიცი ჩვენს რაიონში მხოლოდ ერთი ოქრომჭედელი ხართ, არავის უნდა ამ გზას გაჰყვეს და ისწავლოს თქვენგან?!

- 15 წელია ამ საქმეს ვემსახურები და ამ ხნის მანძილზე, რა თქმა უნდა, უამრავ ვინმეს ქონია ხელობის შესწავლის სურვილი. შვილს მოგიყვან და ასწავლეო, უთქვამს ბევრს, თუმცა მასწავლებლობა ძალიან რთულია იმ პირობებში, როდესაც არ გაქვს ბევრი სამუშაო, სხვა შემთხვევაში-დიდი თანხებია საჭირო, რომ ვასწავლო.იმისათვის, რომ ოქროსთან მუშაობა ვასწავლო, კეთების პროცესში ოქრო უნდა გადადნეს, გადადნობისას კი ოქრო გრამებს კარგავს და ეს ჩემთვის ზარალიანია. თუ მუშაობა კარგი მექნებოდა, იმ პროცესში თავისთავად დამინახავდა და თანდათან ისწავლიდა, მაგრამ სპეციალურად ოქროს დამუშავებისთვის გრამებს ვერ დავკარგავ. თანაც ყველას ხომ ვერ ენდობი, აქ ოქროსთან გვაქვს საქმე, რომელიც საკმაოდ ძვირი ღირს.

- ალბათ ძირითადად საქორწინო ბეჭდების შეკვეთები გაქვთ, რაიონში იშვიათია წყვილი,ვისაც თქვენი გაკეთებული კსაქორწინო რგოლი არ ეკეთოს, ერთის მხრივ კარგი ხელობაა, ადამიანებს ახარებთ და სამკაულს ჩუქნით.

- კი, უმეტესად საქორწინო რგოლებს ვაკეთებ, ჩემი ძირითადი სამუშაოც ასეთი შეკვეთებისგან შედგება. მეცინება ხოლმე, მაგრამ, მოსახლეობაში ეკონომიური გაჭირვების მერე, ასეთი რამ დავაფიქსირე- ახალ წლებში საერთოდ არ მაქვს მუშაობა, რადგან ხალხი სხვა რამეზე, საკვები პროდუქტების ყიდვაზეა ორიენტირებული, ახალი წლის მერე ყველას საშინლად უჭირს და მუშაობაც, პრინციპში, მიჩერდება. მერე ზაფხული მოდის და ცოტა შვებაა, აი, შემოდგომაზე კი, როცა მოსავალს სახლში დაიგულებენ და თანხას ხელში მოიგდებენ, ქორწილებთან ერთად ჩემი საოქრომჭედლოს მუშაობაც ცოცხლდება. ქალაქში რომ ვიყო, სულ სხვაგვარად იქნებოდა საქმე, იქ ოქრომჭედლებს მოცლა არა აქვთ, ხალხში მეტი ფული ტრიალებს, მეტი მოთხოვნაა, აქ კი ძალიან გაუჭირდათ. ქალები ბიჟუტერიაზე გადავიდნენ, არაა ფული და ამიტომ.

ვისურვებდი, რომ ცხოვრება ისე გამოსწორებულიყოს და იმდენად გავძლიერებულიყავით ეკონომიურად, რომ ყველა ქალბატონს მისცემოდეს საშუალება, ვერცხლი და ბიჟუტერია კი არა, წელიწადში ერთი ოქროს სამკაული მაინც ეყიდოს.ეკონმიერ გაძლიერებას და ბევრ სამკაულს გისურვებთ, მანდილოსნებო.

ლალი მეხრიშვილი

მეუფე მელქისედეკი საინგილოში იმყოფებოდა

ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსი, მეუფე მელქისედეკ ხაჩიძე ნინოობის დღესასწაულთან დაკავშირებით საინგილოში იმყოფებოდა. ეპისკოპოსმა საზეიმო წირვა სოფელ ალიბეგლოს წმინდა ნინოს სახელობის ახლადგახსნილ ეკლესიაში აღავლინა.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, მეუფე მელქისედეკმა დედოფლისწყაროდან ისტორიულ ჰერეთში მიხეილ ყულოშვილის ხატი ჩააბრძანა.

ახლახან, წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, საინგილოში მოწამეობრივად აღსრულებული საეკლესიო პირი მიხეილ (მიქაელ) ყულოშვილი, რომელიც რელიგიური მრწამსის შეუცვლელობის გამო დახვრიტეს, რამდენიმე თვის წინ წმინდანად შერაცხეს.

„მეუფე მელქისედეკმა მიხეილ ყულოშვილის ხატი დააწერინა, რომელიც შობის მარხვის შემდეგ ჩვენს საკათედრო ტაძარში ებრძანა და მსურველებს შეგვეძლო მოლოცვა, ახლა კი ხატი საინგილოში წაებრძანა და გადაიხადა სამადლობელი პარაკლისი. ამიერიდან იწოდება წმიდა მიხეილის ხატად. მეუფე მელქისედეკი, როცა ჩვენთან მობრძანდა, მიხეილ ყულოშვილი წმინდანად წარადგინა. მასალები გადასცა წმინდა სინოდს და ჩვენდა სასიხარულოდ მათ მსჯელობის შემდეგ გადაწყვეტეს, რომ წმინდანად შეერაცხათ,“ — აცხადებს მრევლი.

სინოდის გადაწყვეტილებით, მიხეილ-მიქაელ ყულოშვილის ხსენების დღედ 5 ივლისი დადგინდა.

მიხეილ ყულოშვილი 1825 წელს დაიბადა. 1918 წელს მუსავატელებმა საინგილოში 93 წლის ასაკში აწამეს და მოკლეს. მას ჯერ რამდენჯერმე მიუგზავნეს მოლეები და მოსთხოვეს საკუთარი ნებით უარეყო ქრისტე. შემდეგ ხანჯლებით დაადგნენ თავს მაგრამ მამა მიხეილმა მათ უთხრა: «ადამიანის ბოლო მაინც სიკვდილია. მაშ, მომკალით წმინდა სამების გულისთვის. სიკვდილის შიშითაც არ მივიღებ თქვენს სარწმუნოებას». პირჯვრის გამოსახვა ვეღარ მოასწრო მოხუცმა, ისე მოუსწრაფეს სიცოცხლე. მღვდელი ქართულ პერიოდიკაში ნაშრომებს აქვეყნებდა ფსევდონიმით «ჰერეთელი».

ისტორიულ ჰერეთში, ქართველი ინგილოებით დასახლებული სოფელ ალიბეგლოში, დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონში (სოფლის ძველი სახელწოდებაა ქათმისხევი) მდებარეობს წმინდა ნინოს სახელობის გუმბათოვანი ეკლესია, რომელიც ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსის, მეუფე მელქისედეკის მიერ 2011 წლის 1 ივნისს, წმიდა ნინოს ხსენების დღეს, ოფიციალურად იკურთხა

ნინოობასთან დაკავშირებით წირვა დედოფლისწყაროს სხვა ტაძრებშიც აღევლინა.

ილია მარტყოფლიშვილი

გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა, 25 იანვრის ნომერში, მე-7-ე გვერდზე წერილში „ნათლისღება დედოფლისწყაროში ტრადიციულად აღინიშნა“ პირველი სვეტის მეოთხე აბზაცში ტექსტი „სამეუფეო და მამაოს კურთხევას შორის განსხვავება ისაა, რომ მამაოს ნაკურთხი წყალი შეგვიძლია გავამრავლოთ, სამეუფეო კი არა,“ უნდა იკითხებოდეს: „სამეუფეო და მამაოს კურთხევას შორის განსხვავება არაა. ორივე წყალი შეგვიძლია გავამრავლოთ, ის უნდა დავამატოთ ნებისმიერ წყალს და სასმე;ად გამოვიყენოთ“.

რედაქცია ბოდიშს იხდის უზუსტობისთვის.

მონატრება

თამარ ფხოველიშვილი

ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლისXIIა კლასის დამრიგებელი თამარ თარაშვილი, **მოსწავლეები, მასწავლებლები და მოსწავლეთა მშობლები.**

დიდი მწუხარებითა და ტკივილით ვიგონებთ ჩვენს უსაყვარლეს მასწავლებელს თამარ ფხოველიშვილს, რომლის გარდაცვალებამაც დიდი ტკივილი მოგვაყენა.

თამრიკო მასწავლებელი მე-5 კლასიდან გვასწავლიდა მათემატიკას. თავდაუზოგავად შრომობდა და ცდილობდა შეეყვარებინა ჩვენთვის თავისი საგანი. იგი არამარტო საგნის, არამედ ცხოვრების სირთულეებთან გამკლავებასაც გვასწავლიდა და მშობელივით ზრუნავდა თითოეულ ჩვენგანზე. მისი მუდამ მომღიმარი სახე ყოველთვის დიდ სტიმულს გვაძლევდა და ახლაც თვალწინ გვიდგას. იგი იყო საყვარელი მასწავლებელი, სათნო, კეთილი, თავმდაბალი ადამიანი, თავისი საქმის პროფესიონალი. ის ყოველი ჩვენგანისთვის მისაბაძი მაგალითი იყო და მუდამ ასე იქნება.

თამრიკო მასწავლებელი ყოველთვის იცოცხლებს ჩვენს გულებში და მასთან გატარებული ყოველი წუთი ლამაზ მოგონებად დარჩება.

მონატრება

ზაზა პოპიაშვილი



ჩემო ზაზა, დაბადების დღეს გილოცავ, შვილო, 34 წლის გახდი, მოგიკვდეს დედა. როგორ მიყვარდა თებერვლის თვე, ამ თვეს ღმერთმა შენი თავი მაჩუქა, ჩემო ლამაზო ბიჭო. ახლა კი თებერვლის თვე ისევე მტკივნეულია ჩემთვის, როგორც ის ავადსახსენებელი 24 აპრილი, როდესაც უფალმა შენი თავი წამართვა და თავისთან წაგიყვანა.

შენზე გაუსაძლისი დარდითა და უნუგეშო ტკივილით იწყება ჩემი ყოველი დღე, შვილო. ვერა და ვერ მოვერიე უშენობას. შვიდი წელი ხდება შენი ამ ქვეყნიდან გასვლიდან, მაგრამ ჩემთვის დრო არ გადის. იგი 2006 წლის 24 აპრილს, აღდგომის დღეს, ბრწყინვალე შვიდეულის პირველ დღეს გაიყინა. თავი სიზმარში მგონია და გამოღვიძებას ვნატრობ.

ძალიან მენატრები, შვილო. მენატრება შენი თბილი ღიმილი და საუბარი. ყოველი დილა შენი სურათების მოფერებით და ცრემლით იწყება. უსაშველო მონატრება ხარ შენი მშობლებისთვის, შენი ცოლ-შვილისთვის, შენი ერთად-ერთი ძმისთვის, გოჩიკოსთვის და ყველა ახლობლისთვის. შენი შვილი ლიკა უკვე მეექვსე კლასშია და კარგად სწავლობს. შენი სული დაეხმარება მას ყველაფერში, რადგან უმამობა ძალიან ძნელია, განსაკუთრებით გოგონებისთვის. ლიკა ხშირად მოდის შენს საფლავზე, გინთებს წმინდა სანთელს და ღმერთს შესთხოვს, რომ მისი საყვარელი მამიკო სამოთხეში ამყოფოს.

შენს უბედურ დედას ისღა დარჩენია, შენი თბილი გულის ნაცვლად ეფეროს ცივ ქვას, სადაც შენ განისვენებ. დღე და ღამ შევთხოვ უფალს, მომცეს სულიერი ნუგეში, ვევედრები ღმერთს, რომ ზეციური სასუფეველი დაგიმკვიდროს, მე კი რწმენაში გამაძლიეროს, რომ, ადრე თუ გვიან, ზეციურ სასუფეველში მაინც მეღირსოს შენთან შეხვედრა, შვილო!

შენი გულმოკლული
დედა

ალექსანდრე (ალიკა) სულაშვილი



1თებერვალი, შენს მონატრებაში წუთნახევარივით გასული თხუთმეტი წელი. თხუთმეტი წელია, რაც თვალზე ცრემლშეუშრობლად გელოდებით. როგორ სიზმარივით გაქრა შენი ცხოვრების ლამაზი დღეები. შენ ხომ იმედად, ჩაუქრობელ სანთლად უნდა გევლო ჩვენთვის. ყოველ პიროვნებას განსაკუთრებული ადგილი აქვს მისთვის ძვირფასი ადამიანების გულში და როდესაც ის სამუდამოდ გვტოვებს, ეს ადგილი ცარიელი რჩება, უფრო სწორად კი, იგი ივსება ყრუ, ჩუმი ტკივილით. მოულოდნელმა ტრაგიკულმა შემთხვევამ წაგვართვა შენი ლამაზი სიცოცხლე, რომელიც მხოლოდ 25 გაზაფხულს ვერ გასცდა. შენი სახელი შენვე გეამაყებოდა, მართლაც საამაყო ბიჭს. ნათქვამია, ღმერთსაც რჩეულები მიჰყავსო და ვაი, რომ რჩეულთა შორის შენ ამოგარჩია. უმწარესი, საშინელი ტკივილია უშენობა. არარაობაა ეს ცხოვრება შენს გარაშე ჩვენთვის. ძნელია ამ ტკივილისა და მწუხარების გადმოცემა, რასაც განვიცდით უშენოდ. მწუხარებისგან ადრე დაბერებული შენი მშობლები, შენი პაპა და ბებია, შენი საფიცარი ძმები და რძალი, შენი უკვე დიდი ძმისშვილები, შენი მოსახელე ლექსო, რომლებიც სურათით გიცნობენ და გეფერებიან, შენი მამიდა, დიდი სამეგობრო, რომლებიც დღემდე არ ტოვებენ და არ ივიწყებენ ჩვენს ოჯახს, ახლა უკვე შენს ძმებს უდგანან მხარში. თხუთმეტი წელია, რაც გვასწავლე ახალი გზა, გზა, რომელიც შენს საფლავამდე მოდის. შენი ცხოვრების სულ პატარა მანძილზე, დიდი სიყვარული და სიკეთე თესე. დიდმა სიყვარულმა კი, დიდი მონატრება იცის. შენ კი, ჩვენგან წასული, ალბათ სამოთხის მკვიდრი ხარ. შენ ხომ იმდენი სიკეთის ტარება შეგეძლო გულით და იმდენ სითბოს გამოსცემდი, რომ ყველას ეყოფოდა და ყველას გაათბობდა, სწორედ ეს სითბო მოგვწყურდა, რადგან უსასრულოდ გვიყვარხარ და გვენატრები. უშენოდ თურმე გაუსაძლისი ყოფილა ცხოვრება. შენს ცხოვრებას უკვალოდ არ ჩაუვლია. ყველას ახსოვხარ, გიგონებენ. ენატრები, ყველას უჭირს შენზე წარსულში ლაპარაკი. შენ მარადიული ახალგაზრდობა გარგუნა ბედისწერამ. თხუთმეტი წელი გავიდა შენი დაკარგვიდან, მაგრამ ვერაფერი შევძელით, მონატრების გარდა. ყველაფერს რომ გაუძლოს კაცმა, რა მოვუხერხოთ მონატრებას, მუდმივ სევდას, მოლოდინს, რომელიც სოცოცხლის დასასრულამდე დაგვიტოვე.

თხუთმეტი წელია, შენი სულისთვის ვლოცულობთ და გვჯერა, შენს სუფთა ხატებას საიქიო განსასვენებელში სასუფეველი აქვს დამკვიდრებული.

დაუვიწყარია შენი ხსოვნა, ჩვენო ლამაზო ბიჭო. შენს საფლავს არ მოვაკლებთ ცრემლს, სანთელსა და ყვავილებს. ვეფერებით შენი საფლავის ქვაზე გაცივებულ სურათებს.

ნათელში იყოს შენი სული, ჩვენო სიხარულო. მსუბუქი იყოს სოფელ გამარჯვების მინა, რომელიც ასე საოცრად გიყვარდა.

ტკივილამდე გვაკლიხარ! უსაშველოდ გვენატრები!..

მამა დარმანტი. **დედა** ნანა. **ძმები:** დათო და ლევანი, **რძალი** მარინა ზურაბაშვილი, **ძმისშვილები:** ნანა, ნინო, ალექსანდრე, **პაპა** ალექსანდრე, **ბაბო** მაყვალა, **მამიდა** თინიკო სულაშვილები.

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ანზორ მაძღარაშვილს მეუღლის

მარინეს

გარდაცვალების გამო

დედოფლისწყაროს რაიონული ბიბლიოთეკა თანაგრძნობას უცხადებს მანანა მაჭარაშვილს ბიძის -

ბეჭან მაჭარაშვილის

გარდაცვალების გამო.

ქალაქ დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის XIIა კლასის მოსწავლეები და მშობლები თანაგრძნობას უცხადებენ კლასის ხელმძღვანელს-თამარ თარაშვილს დის

ლალი თარაშვილის

გარდაცვალების გამო

საფრთხე, რომელიც შორიდან არ ჩანს

სიგნალი!

ძალიან დიდხანს ითხოვდნენ ქალაქ დედოფლისწყაროს ალადაშვილის ქუჩის მცხოვრებლები მათი მოუწესრიგებელი და ათხრილ-დათხრილი ქუჩის გაკეთებას. გასულ წელს ეს პრობლემა გადაიჭრა: ქუჩაზე დაიგო საკმაოდ კარგი ხარისხის ასფალტი, გზის ორივე მხარეს ტროტუარები საწრეტებით გამოიყო და მოსახლეობაც ამ კუთხით კმაყოფილია, მაგრამ არის ერთი პრობლემა, რომელიც ძნელად მოსაგვარებელი სულაც არ არის, სამაგიეროდ დიდი საფრთხის შემცველია. ალადაშვილის და ჯავახიშვილის (ყოფილი პრესის) ქუჩების გადაკვეთაზე, სწორედ კუთხეში, სადაც ალადაშვილის ქუჩიდან ჯავახიშვილის ქუჩაზე შევდივართ, ორი ჭა არის მოუწესრიგებელი: ერთი ჭა, რომელიც სრულიად თავღიაა, წყალგაყვანოლობისაა, მეორე კი - სატელეფონო-საკომუნიკაციო ქსელის, რომელსაც თავსახური ვითომ აფარია, სინამდვილეში ისეა შიგ 20-30 სანტიმეტრით ჩავარდნილი, რომ ის ფეხით მოსიარულეთათვისაც და მანქანებისთვისაც ჯანმრთელობის და სიცოცხლის ხიფათის შემცველია.

- ძალიან ცუდად არის ეს ჭები დარჩენილი, მათი დანახვა შორიდან შეუძლებელია, რადგან აღმართ-დაღმართის შესაყარზეა და ვიდრე ზედ არ წაადგები, არ ჩანს. ის საფრთხეს უქმნის ფეხით მოსიარულეებსაც და მანქანებსაც, ჯერ დღისითაც ჭირს მათი დანახვა და ღამით, მითუმეტეს. ამ ქუჩებს ღამის განათება არ აქვს და არ არის გამორიცხული მასში ჩავარდნა, რაც არაერთხელ მომხდარა კიდეც. ჩვენ ვცდილობთ, ხან ხის ტოტი ჩავაგდოთ, ხან რაღაც ნიშანი გავაკეთოთ, მაგრამ ხან ბავშვები, ხან ვინ და ხან ვინ, ამ მინიშნებებს არ აჩერებენ. ვინც ამ ქუჩებზე ვცხოვრობთ, ვიცით ამ საფრთხის შესახებ და თავს ვარიდებთ, მაგრამ უცხო ხალხის და მანქანებისთვის, რომლებმაც არ იციან, დიდი საფრთხის შემცველია. რამდენჯერ ვუთხარით ქალაქის წინა ხელმძღვანელობას, მაგრამ არავინ მიხედა. იქნებ ახლა მაინც მიაქციონ ყურადღება, ეს ხომ დიდ თანხებს და დროს არ მოითხოვს, ამას მარტო იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელებიდან პასუხისმგებლობა სჭირდება, ვისაც ეს ჭები ეკუთვნის,- ამბობს ამ ქუჩის მცხოვრები ილია შეითნიშვილი. ვეთანხმებით ბატონ ილიას. თუ არ იციან, იქნებ ჩვენი გაზეთის საშუალებით მაინც გაიგონ შესაბამისმა უწყებებმა ამ ჭების შესახებ და მიხედონ საქმეს. ეს ჭები ერთმანეთისგან სულ რაღაც ორიოდე მეტრით არის დაშორებული და ერთს თუ გადაურჩი, შეიძლება მეორეში ჩავარდე, ან მათი გვერდის ავლისას საპირისპიროდ მომავალ მანქანას შეასკდე. გაზეთის რედაქცია სთხოვს ქალაქის ხელმძღვანელობას და შესაბამის სამსახურებს სასწრაფოდ მიაქციონ ყურადღება ამ საკითხს და გადაჭრან პრობლემა, რომელიც შორიდან არ ჩანს.

ნაირა გორაშვილი

P.S. როგორც ჩანს, მსგავსი პრობლემა ქალაქის სხვა ქუჩებზეც არსებობს. ერთ-ერთი თავღია ჭა ჰერეთის (ყოფილი სტალინის) ქუჩაზეც დავაფიქსირეთ - საჯარო და სამოქალაქო რეესტრის მიმდინარე ტერიტორიაზეც.

როგორც გვითხრეს, ეს ჭა ძალიან დიდი ხანია თავღიაა და მასში ჩავარდნილმა ქალბატონმა ამასწინათ სხეულის სერიოზული დაზიანება მიიღო.

ვთხოვთ ქალაქის ხელმძღვანელობას და შესაბამის სამსახურებს, დაათვალიერონ ქალაქის ქუჩები და იზრუნონ ამ ხარვეზის აღმოფხვრისთვის.

ი ყ ი დ ე ბ ა

ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ.№26 (აფთიაქის გვერდით), პირველ სართულზე იყიდება ერთოთახიანი ბინა, რომელიც გამოიყენება როგორც საცხოვრებლად, ასევე კომერციული საქმიანობისთვისაც. ყიდვა შეიძლება განვადებითაც. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ:

571 55 99 51. 574 77 97 97

ფასი 4000 $

ი ყ ი დ ე ბ ა

იყიდება მუშა ფუტკარი ლაფეტით და ყველა საჭირო ინვენტარით. დაწვრილებითი ცნობებისთვის გთხოვთ დარეკოთ შემდეგ ნომრებზე:

599 57 31 83 ან 592 93 52 82

ა უ ქ ც ი ო ნ ი

სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლა აცხადებს პიროგით აუქციონს სკოლის შენოგის

ა) 128 კვ.მ ფართის იჯარით გაცემაზე. მიზანი: ცეკვის წრის ფუნქციონირება. ფართის წლიური ღირებულება 480 ლარი. იჯარის ვადა 2 წელი.

ბ) 15კვ.მ ფართის იჯარით გაცემაზე. მიზანი. ბუფეტის ფუნქციონირება. ფართის წლიური ღირებულება — 240 ლარი. იჯარის ვადა 1 წელი.

პირობები: ბიჯი-ქირის 5%.

სანიტარულ-ჰიგიენური, სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვა,მიზნის შესაბამისი საქმიანობის წარმოება. იჯარით არსებული ქონების გაფრთხილება. გადახდის ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

პირობით აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

1. *განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ.*
2. *„ბ“ წლიური გადასახადის —10%*
3. *მონაწილეობის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი მოწმობის ასლი*
4. *ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მყიდველი მოქმედებს სხვა სახელით.*

აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, ან უცხო ქვეყნის იურიდიულ და ფიზიკურ პირს.

განცხადება მიიღება გამოცხადებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, შაბათ-კვირის გარდა. პირობითი აუქციონი ჩატარდება 30-ე კალენდარულ დღეს.

განცხადების მიღება ინარმოებს მისამართზე:

ქვემო ქედის საჯარო სკოლა.

577 31 65 64, 577 31 65 55

ფრენბურთის ჩემპიონატში №2 სკოლა ვაჟებს შორის ლიდეროობს, №1 სკოლა – გოგონებს შორის

მშვიდობის კორპუსის მოხალისის ჯონათან ბრენდსის პროექტის ფარგლებში, 30-31 იანვარს დედოფლისწყაროში ჩემპიონატი ჩატარდა ფრენბურთში გოგონებსა და ვაჟებს შორის. ამერიკელი პედაგოგი დედოფლისწყაროს 1 საჯარო სკოლაში მოღვაწეობს. ჩემპიონატს ორი დღის განმავლობაში სწორედ პირველი სკოლის სპორტული დარბაზი მასპინძლობდა.

30 იანვარს ერთმანეთს გოგონათა გუნდები გაეჯიბრნენ, ხოლო 31 იანვარს - ვაჟთა გუნდები.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, სოფელ ხორნაბუჯის სკოლამ დედოფლისწყაროს მეორე სკოლასთან ითამაშა, რა დროსაც ხორნაბუჯის სკოლამ მოიგო. შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ პირველი და ხორნაბუჯის სკოლები, რის შემდეგაც პირველი სკოლის გუნდმა გაიმარჯვა.

რაც შეეხება ვაჟების ჩემპიონატს. თავდაპირველად ერთმანეთს შეხვდა სოფელ სამრეკლოსა და ხორნაბუჯის სკოლა, სადაც დამაჯერებლად, აშკარა უპირატესობით სოფელ სამრეკლოს გუნდმა გაიმარჯვა.

მეორე ეტაპზე შეეჯიბრნენ პირველი და მეორე საჯარო სკოლის გუნდები. მეორე სკოლამ ორი თამაში ჩაატარა მათთან და ორივეში დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

ფინალში იბრძოდნენ სამრეკლოსა და მეორე სკოლის გუნდები. ჩატარდა სამი შეჯიბრი. პირველი თამაში მოიგო სამრეკლოს სკოლამ. ხოლო, მეორე და მესამე კი დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლამ და გახდა ჩემპიონი ბიჭების გუნდებს შორის.

„ფინალი დაძაბული იყო, რადგან თითქმის თანაბრად მიდიოდნენ გუნდები. მაგრამ ჩვენი შემართება იმხელა იყო, რომ ეს შევძელით და გამარჯვება მოვიპოვეთ, ამჟამად ჩემპიონები ვართ. ძალიან მიხარია, რომ გამარჯვებულები ვართ,“ - განუცხადა „შირაქს“ მეორე სკოლის მოსწავლე სოფო მენთეშაშვილმა რომელიც აქტიურად გულშემატკივრობდა თავისი სკოლის გუნდს.

ჩემპიონატი უახლოეს დღეებში კალათბურთსა და ფეხბურთში უნდა დაიწყოს. მსგავსი სახის ჩემპიონატები ბოლო დროს ინტენსიურად იმართება.

შგახსენებთ, ამერიკელი მოხალისე პედაგოგის ინიციატივით დედოფლისწყაროში მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება.

ილია მარტყოფლიშვილი

სწავლის მსურველთა საყურადღებოდ!

2013 წლის თებერვლიდან მუშაობას იწყებს საბუღალტრო და საგადასახადო საქმიანობის შემსწავლელი კურსები.

მსურველებმა მიაკითხეთ შ.პ.ს. „ლაშარი+“-ს.

591 22 44 95 გენადი
577 38 74 54 ნატო
593 28 11 46 ნინო

მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „შირაქი“ იწყებს „ხსოვნის წიგნი“-ს გამოცემას, სადაც შეგიძლიათ თქვენი გარდაცვლილი ოჯახის წევრისა თუ ახლობლის მოხსენიება.

„ხსოვნის წიგნში“ გარდაცვლილის ფოტოსურათისა და შესაბამისი ტექსტის განთავსების მსურველებმა გთხოვთ მოაკითხოთ გაზეთ „შირაქის“ რედაქციას. ფასი ხელმისაწვდომია.

ა მ ი ნ დ ი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

შაბათი 02. 02	კვირა 03. 02	ორშაბათი 04. 02	სამშაბათი 05. 02	ოთხშაბათი 06. 02	ხუთშაბათი 07. 02	პარასკევი 08. 02
დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე
4° 0°	6° 0°	3° 3°	7° 6°	6° 3°	4° 3°	7° 5°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); მიხეილ მლეგრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „საშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K